სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 14 აგვისტო 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 171 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 171

გიორგი კონსტანტინეს ძე და ლიუბა ალექსის ასული სიამაიშვილები თავის ვაჟითურთ და ალექსი ვასილის ძე ბარსოვი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მამის, მეორე მამამთილის და უკანასკნელი კი ნათესავის

კონსტანტინე თარხანის ძის სიამაიშვილისას

რომელიც მოხდა ქ. ოზურგეთში ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ. (2—2)

გულდათუთქული მშობლები ქრისტინე და მაქსიმე (პახვლა), ძმები ელიზბარ და ტარასი მალხულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 15 აგვისტოს, ხუთშაბათს, აბაშაში ს. კვათანის ეკლესიის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაღუპულ პრაპორშჩიკ

კონსტანტინე (კუკუ) მალხულიას

სულის მოსახსენებლათ, რომელიც ს. ხოლტაში (ოხუმის ოლქში) ბალშევიკთა ბრბოს მიერ გულგანგმირული მამაცურათ დაეცა. (2—2)

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემოქმედის რაიონული კოლლექტივი ამით აუწყებენ ამხანაგებს, რომ კვირას, 4 აგვისტოს, ნატანების გზაზე ყაჩაღებმა ვერაგულათ მოჰკლეს ჩვენი საუკეთესო პარტიული ამხანაგები

დავით სიმონის ძე გუგუნავა

და

იაკინთე ნიკოს ძე მამულაიშვილი

(2—2)

უბედურებისაგან თავზარდაცემულნი და იმედ დაკარგულნი მშობლები: ეპრაქსია და ნიკიფორე სალუქვაძენი უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პირთ თუ დაწესებულებას, რომელთაც კერძოთ, წერილით თუ დეპეშით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტ, ერთად-ერთ ნუგეშის

ვალიკოს (ვალერიანის)

უდროოთ დაკარგვის გამო.

ქართულ-გერმანულ კულტურული საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა სამუშაო სრულიად დაამთავრა.

საზოგადოების საზოგადო კრება

შესდგება კვირას, 18 აგვისტოს, დილის 11 საათზე. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ყოფილ სადგომში (ფრეილინის ქ. № 11).

დღის წესრიგი: 1) პრეზიდიუმის არჩევნები, 2) სექციათა (სალიტერატურო, სამეურნეო და სასკოლო) არჩევნები, 3) სამოქმედო პროგრამის მთავარი დებულებების (სტატუტების) გამომუშავება.

3—1

საორგანიზაციო კომიტეტი.

რეგულიარული ჯარი

საქართველოს პარლამენტს უკვე წარედგინა განსახილველათ ახალი კანონპროექტი რეგულიარულ ჯარის მოწყობისა.

ჩვენი ფრაქცია არსებითად მხარს უჭერს აღნიშნულ კანონ პროექტს. მაშასადამე, ახლო მომავალში ჩვენი მთავრობა ჯარის შედგენას და გაწვრთნას შეუდგება.

მკითხველმა იცის ჩვენი პარტიული პროგრამის დამოკიდებულება ამ საკითხთან: ჩვენ მოვითხოვთ მუდმივ ჯარის გაუქმებას და სახალხო მილიციის შემოღებას.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა დღეს ისეთს პირობებში იმყოფება, რომ პარტიულ პროგრამის აღნიშნული მუხლი უნდა გადავდოთ, სანამ მარჯვე და მოხერხებული დრო დადგებოდეს მის განხორციელებლათ. ეს არ არის არც პრინციპის ღალატი, არც პროგრამის დარღვევა. პირიქით, ჩვენი პროგრამა—მინიმუმის განხორციელება უნდა გვაახლოვებდეს ჩვენს საბოლოვო მიზანს—სოციალიზმს და ამ თვალსაზრისით რეგულიარულ ჯარის შემოღებაც ამ მიზანს ემსახურება. ნათქვამის დასამტკიცებლათ საკმაოა მოვიგონოთ ბოლშევიკური საფრთხე, როცა ნავთლუღის ახლოს გახულიგანებული ჯარის ნაწილები იდგა და თფილისს ემუქრებოდა; მოვიგონოთ ლეჩხუმ-საჩხერის და ცხინვალ-დუშეთის ამბები; მოვიგონოთ ოსმალეთის ასკერების და ადერბეიჯანის თათრების თარეში ბორჩალოს მაზრაში. რა მდგომარეობაში იქნებოდა ახლა თფილისი და საზოგადოთ საქართველო, რომ რეგულიარულ ჯარის ნაშთები და სახელოვანი სახალხო გვარდია არ შებრძოლებოდა აღნიშნულ ბანდებს?

მაგრამ შეუძლებელია მუდმივი ხასიათი მივსცეთ სახალხო გვარდიას, რადგან გვარდიელები ხომ უმეტეს ნაწილათ მუშებია და მუშების დიდი ხნით თოფს ქვეშ დაყენება ნიშნავს მრეწველობის და ალებ მიცემობის შეფერხებას. გარდა ამისა ასეთ გვარდიის სახით ხომ იგივე რეგულიარული ჯარი გვეყოლებოდა იმ განსხვავებით, რომ ასეთს ჯარში მხოლოდ მსურველები იქნებოდენ.

და რადგან ჩვენ მრავალი მტერი გვახვევია გარს და შეიარაღებული ძალა კიდევ დიდ ხანს იქნება საჭირო, ამიტომ რეგულიარულ ჯარის შექმნა დღევანდელ პირობებში აუცილებელია.

მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ მომავალში მუდმივ ჯარის გაუქმების საჭიროებას. ამიტომ როგორც კი გარემოება ნებას მოგვცემს, სახალხო მილიციის, ხალხის საყოველთაო შეიარაღების საქმეს შევუდგებით და რეგულიარულ ჯარიდან სახალხო მილიციაზე გადავალთ.

ჯერ-ჯერობით კი იძულებული ვიქნებით დავაკანონოთ ორი წლის სავალდებულო სამსახური. არავითარ შეღავათებს და გამონაკლისს ადგილი არ ექნება: განთავისუფლდებიან მხოლოდ სნეულები და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეები 22 წლამდი, სანამ საშუალო სწავლას დაასრულებდენ.

სახელმწიფოს დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობას შეადგენს. ეს მოვალეობა უნდა იკისროს შეიარაღებულმა ხალხმა, სახალხო მილიციის სახით.

მაგრამ სანამ ეს რთული და მძიმე საქმე მოეწყობოდეს, საჭიროა რეგულიარულ ჯარის შექმნა და სამხედრო ბეგარის შემოღება.

ამ მიზანს უნდა ემსახუროს ახალი კანონი, რომლის გამოცემას ჩვენი პარლამენტი შეუდგა.

თავისუფლება პრესის თუ ბოროტმოქმედების?

თფილისის ქალაქის საბჭოში კადეტებმა შეკითხვა შეიტანეს: აღშფოთებული არიან იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა კადეტების გაზეთი „ნაროდნაია სვობოდა" დახურა და სტამბა, სადაც ეს გაზეთი იბეჭდებოდა, დაკეტა.

თქმა არ უნდა, მინისტრის განკარგულება ერთობ სასტიკი და ულმობელია: არა მარტო აღნიშნული გაზეთი იქნა დახურული, სტამბის დაკეტვით კადეტებს საშუალება ესპობათ თავისი პრესა იქონიონ. ეს გარემოებაა, რომ განსაკუთრებით აშფოთებს კადეტების წარმომადგენლებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა მიზანშეწონილი მოქმედება და როცა დახურულ „ნაროდნაია სვობოდა"-ს ნაცვლათ კადეტებმა მეორე დღესვე გამოუშვეს „სვობოდნი ნაროდ", სამინისტროს არ შეეძლო თვალი დაეხუჭა და ეცქირა, თუ როგორ დასცინებდენ მას: სათაურის გამოცვლა გაზეთისათვის სულ რაღაც ერთი წუთის შრომას მოითხოვს.

ამიტომ, ჩვენის ფიქრით, სამინისტრო კარგათ მოიქცა, როცა კადეტებს საშუალება მოუსპო გაზეთის განახლებისა. მხოლოდ ერთს შემთხვევაში იქნებოდა დასაძრახი მინისტრის მოქმედება: კადეტთა პრესის მოღვაწეობა რომ ყოფილიყო თავისთავათ დასაშვები.

როგორ შევუთანხმოთ მინისტრის მოქმედება პრესის თავისუფლების პრინციპს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრესა თავისუფალი უნდა იყოს იმდენათ, რამდენათ თავისუფალი უნდა იყოს ყოველ მოქალაქის მოქმედება. ამიტომ აბსოლიუტური თავისუფლება პრესის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს: როგორც სხვა ყოველგვარი დანაშაული, პრესის დანაშაულიც უნდა ისჯებოდეს საერთო წესით, სასამართლოს მიერ გასამართლებით.

მაგრამ კადეტების პრესამ და ზოგიერთმა სხვა გაზეთებმა განსაკუთრებული პოზიცია დაიკავეს: ისინი როდი კმაყოფილდებიან კრიტიკით და ბრძოლით მთავრობის ამა თუ იმ ნაკლის წინააღმდეგ ისინი გააფთრებული ებრძვიან ჩვენი სახელმწიფოს არსებობას, ძირს უთხრიან ჩვენს დამოუკიდებლობას.

შეუძლებელია ასეთი პრესის არსებობა დაუშვათ: ჩვენ გვესმის ბრძოლა, რომლის მიზანია არსებულ წესწყობილების გაუმჯობესება და ხალხის კეთილდღეობა, მაგრამ ვერ გაგვიგია, როგორ კადნიერდებიან და ბედვენ ჩვენს თვალწინ ებრძოლონ ჩვენს სახელმწიფოს? კადეტთა პარტია კანონიერების ნიადაგზე დგას: მან იცის, რომ ყოველი წევრი პარტიის, თუნდ რომელიმე კავშირის იმ წამსვე განდევნილი იქნება ორგანიზაციიდან, როცა ის აღნიშნულ ორგანიზაციის წინააღმდეგ წავა. როგორ შეიძლება სახელმწიფომ თავის საზღვრებში დაუშვას არსებობა ისეთი პარტიის, რომელიც ცდილობს მის დანგრევას.

კადეტები კი მოითხოვენ თავისუფალ მოქმედებას, რომ ჩვენი რესპუბლიკა დაანგრიონ და ამას უწოდებენ ისინი პრესის თავისუფლებას.

მათ უნდა იცოდენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის დამგრეველნი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი და საქართველოს დემოკრატია თავის წმინდა მოვალეობათ ჩათვლის მხარი დაუჭიროს მთავრობას, რომელიც ნორჩი რესპუბლიკის განმტკიცებას ისახავს მიზნათ.

ასეთია სამინისტროს განკარგულებაც. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს საქმე სასამართლოს გაერჩია, მაგრამ საუბედუროთ, ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოება განახლებული სასამართლო, რომელსაც შეეძლოს სწრაფი მოქმედება. და გარდა ამისა ჩვენ განსაკუთრებულ ხანაში ვცხოვრობთ.

იმედი გვაქვს, კადეტები შეიგნებენ ამ უბრალო ჭეშმარიტებას და ფარისევლურ გულიბას თავს დაანებებენ. გამოეთხოვენ ჩვენი სახელმწიფოს დანგრევის სურვილს, ხელი აიღონ მოღალატურ მოღვაწეობაზე და შემდეგ გველაპარაკონ პრესის თავისუფლებაზე.

ვინ არის მართალი?

ლევ. ყიფიანი სწერს, რომ „ერთობა" არ არის მართალი.

რაში არაა „ერთობა" მართალი?

განა იმაში ცდება ჩვენი გაზეთი, რომ „კავკაზსკოე სლოვო" შოვინისტური გაზეთია,

რომ ეს გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ შემოტევითი პოლიტიკას აწარმოებს?

ამის შესახებ ლევ. ყიფიანი არაფერს ამბობს და კამათი სხვა ნიადაგზე გადააქვს.

ჩვენ ვსწერდით, რომ როცა ლევ. ყიფიანის საყვარელ სამშობლოს თავს ესხმიან, ის ან არ იღებს ხმას, ან ვერ ბედავს ხმის ამოღებასო.

ამის შესახებ ლევ. ყიფიანი სწერს:

„ეს ბრალდება განსაზღვრული ხასიათისაა. ამას მე არ უარვყოფ, არ ვიმართლებ თავს, ვინაიდან ეს იქნებოდა დამამცირებელი. ვიტყვი ერთს: რომ სამშობლოს დასაცავად მე ვიყავი ბრძოლის ფრონტზე საკუთარის ჩემის ნებით; მაგრამ ჩემს გონებაში ყველა ამას არ ჩაუხშვია იმის ნიჭი, რომ ჩემი სამშობლოს ცხოვრების ის მხარეები აღვნიშნო, რომლებიც მე მიმაჩნია საზარალოთ".

ჩვენ კითხვა ასე არ დაგვიყენებია. ეს ლევ. ყიფიანსაც მოეხსენება. ჩვენ ერთი სიტყვითაც არ შევხებივართ ლევ. ყიფიანის მოღვაწეობას სამშობლოს საკეთილდღეოთ გარეშე „კავკაზსკოე სლოვო"-ს ფურცლებისა. ამ გაზეთმა კი ცოტა ეჭვი აღგვიძრა: მოგვაგონდა თქმულება—„მითხარ, ვის იცნობ და გეტყვი ვინც ბრძანდებით".

სომეხთა შოვინისტების გაზეთში საქართველოს დასაცავათ დაბეჭდილმა ლევ. ყიფიანის წერილმა აღგვიძრა ეს კითხვა,—არ გავყევით ხალხის თქმულებას ბრმათ და ლევ. ყიფიანს შევეკითხეთ—„ვინ ბრძანდებით თქო".

ლევ. ყიფიანმა არ გვიპასუხა.

განა ჩვენ ლ. ყიფიანს იმას ვუსაყვედურებთ, რომ მან ჩვენი ცხოვრების ზოგი ცუდი მხარეები აღნიშნოს გაზეთში, თუ გინდ ეს გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო" იყოს?

კერძო მხარეებს ხომ ჩვენც აღვნიშნავთ ხოლმე,—დასაწუნს ვიწუნებთ და სხვ.

მაგრამ ლევ. ყიფიანი **საერთო ხაზს** ებრძვის, უკულმართად „აღნიშნავს" ზოგიერთ მხარეებს.

ლევ. ყიფიანი უფრო შორს წავიდა. ჩვენდა შესარცხვენად, მაგ., ის სწერს:

„მე კიდევ უფრო და დიდი ხანიცაა მეორე ნაირი „კუდი" მაწუხებს: სდგას მენშევიკი და ლაპარაკობს ინტერნაციონალიზმზე, სხვა და სხვა ერების მოთმენა-შერიგებაზე, სხვა და სხვა ერებს შორის ადამიანის უფლებათა თანასწორ განაწილებაზე—იდლიაში კი მას ჰყავს მძლარი ნაციონალ დემოკრატი და მისი შავი კუდი დიდზეა გამოგრძელებული. აი ეს სურათი უფრო საინტერესოა".

ვინ მოგახსენათ ეს, ბატონო ლევ. ყიფიანო?—დაშნაკელმა, რუსის ნაციონალისტმა თუ „კავკაზსკოე სლოვო"-ში მოკალათებულმა „სოციალისტმა"?

და განა ეს საბუთი საბუთობს?

ამ „საბუთის" ძალით არა ვართ მართალი?

ნაციონალ-დემოკრატების „საქმენი"

საბრალო ნაციონალ-დემოკრატებს არ ასვენებს ის გარემოება, რომ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას სათავეში უდგანან ხალხის უმრავლესობის მიერ ნდობით აღჭურვილი სოციალისტები.

ისინი ყოველ დღე ჩაგვჩიჩინებენ, რა თქვენი საქმეა ბურჟუაზიულ წყობილებაში სახელმწიფოს სათავეში დგომა, თუ თქვენ სამშობლოს სიყვარული გაქვთ, გადადექით და ასპარეზი ჩვენ დაგვითმეთო. სოციალისტებს არ შეშვენის მკაცრი ზომებისთვის მიმართვა, ურომლისოდაც სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია, ეს ჩვენ უფრო გვეპრიანებაო. და როცა მათ ასეთ ჩივილს არავინ ყურადღებას არ აქცევს და „ქარავანი თავის გზით მიდის" ისინი გაბოროტებული გაიძახიან: ჩვენი სოციალისტები მინისტრების სავარძლებს ვერ შორდებიან და ძალა უფლებას თავიანთი პარტიის გაძლიერების მიზნით იყენებენო.

რომ მინისტრობა ძლიერ უნდათ ჩვენს ნაციონალ დემოკრატებს, ამას ამტკიცებს მათი ყოველ დღიური წუწუნი ამის შესახებ, მაგრამ რათ არ უფიქრდებიან იმ გარემოებას, რომ მართლაც, რომ ვინმემ შეიბრალოს ეს ხალხი და მინისტრებათ დააყენოს—ვისი მინისტრები იქნებიან ან და ვის დაეყრდნობიან. არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი სახალხო გვარდიელი, გარდა თითო ოროლა აფიცრისა, არ იბრძოლებს მთავრობისათვის, რომელსაც სათავეში ნაციონალ დემოკრატები ეყოლება ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით მაინც ასეთია ხალხში სულიერი განწყობილება. ნუთუ არ მოეხსენება „სახელმწიფოებრივ პარტიას", რომ უმეტეს შემთხვევაში ბალშევიკებმა ხალხი მით აიყოლიეს, რომ მოატყუეს—მთავრობა ნაციონალ დემოკრატებმა ჩაიგდეს ხელშიო.

ვგონებთ ნაციონალ დემოკრატებიც უნდა მიხვდენ, რომ მათ მიერ შედგენილი მთავრობა ჩვენში ერთ დღესაც ვერ იარსებებს და რომ სოციალისტების მთავრობაში ყოფნა აუცილებელი მოვლენაა და ყოველი მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობისა იმას უნდა ცდილობდეს, მეტადრე ასეთ განსაცდელის ჟამს, რომ არსებულ მთავრობას ყოველ მხრივ დაეხმაროს და თუ ნაციონალ-დემოკრატები არ ინდობენ სოციალისტურ მთავრობას, რომელიც დღეს მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიზმის განმტკიცებას და საქართველოს დამოუკიდებლობას ემსახურება, ეს აიხსნება მათი ცუდათ გაგებული კლასიური ეგოიზმით. რაკი მე მინისტრობა არ შემხვდა, ქვა ქვაზედ ნუღარ იქნებაო, ასეთია მორალი ჩვენი ნაციონალ-დემოკრატების ცრუ ლიდერებისა. ერთ რუსულ გაზეთში მოყვანილი იყო რუსის ნაციონალისტ-შავრაზმელ მარკოვ მეორის ნათქვამი: მე ეხლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ უკიდურესი ინტერნაციონალისტი გავხდიო. ეხლა ჩემთვის სამშობლოს არავითარი ფასი არ აქვსო. ცხადია მარკოვს აქ „ინტერნაციონალიზმი" ისე ესმის, როგორც სამშობლოს უარყოფა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაციონალ დემოკრატებიც მათი რუსეთელ მეგობარ მარკოვსავით აზროვნობენ და სამშობლოს ინტერესებსაც ისეთივე საზომით ზომავენ. ისინი მოწადინებულნი არიან, რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც სულ რაღაც ორიოდე თვის პრაქტიკა აქვს, სახელი გაუტეხონ, დასცენ მისი პრესტიჟი შინაურთა და გარეშეთა თვალში; ამისთვის არ ზოგავენ, როგორც თავიანთ საგაზეთო, ისე საპარლამენტო მოღვაწეობას. გაზეთში ყოველ დღე ლანძღავენ და პარლამენტში კი დღეში თვრამეტი შეკითხვა შემოაქვთ და მით საქმეს უძნელებენ როგორც მთავრობას, ისე პარლამენტის საქმიან ნაწილს.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

13 აგვისტო.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. იზერსა და ანკრს შორის მტრის რამდენიმეჯერ მოტანილი იერიში უშედეგოთ დამთავრდა. ლისის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ ინგლისელების ძლიერი იერიშები. სომის ჩრდილოეთით მტერს ძლიერი იერიშები მოჰქონდა. სომმის და ლიკოკსის შორის მტერმა წამოიწია წინ სოფ. არპესინამდე. ჩვენ კონტრ-იერიშებით მტერს დავახვეიეთ. ლიკს, ონს და ავრს შორის ძლიერი ბრძოლაა. შოლნესთან ჩვენ იერიში მივიტანეთ მტერზე და ავიღეთ ხალლა. ამიენ რუას გზაზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. მტერმა განაგრძო იერიშების მოტანა დაღამებამდე. ყველა ეს იერიშები უშედეგო იყო. განსაკუთრებით დაზარალდენ ფრანგები ტილლეს-ლეისთან.

ვენა. ზოგიერთ ფრონტებზე საარტილერიო სროლა განახლდა. იტალიის ჰაეროპლანებმა სავილე საავადმყოფოებს დაუშინეს ყუმბარები. მოჰკლეს ავადმყოფნი და საექიმო პერსონალის მოსამსახურენი. ალბანეთში ცვლილება არ მომხდარა.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. წარსული ღამით მტრის არტილერიამ მოქმედება გააცხოველა. ზღვის პირის რაიონში მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ტაფილეთან და მაანთან ჩვენმა მფრინავებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ყუმბარები ჩაჰყარეს. იტალიელები ამაოდ ცდილობდენ ტრიპოლის ფრონტის ხელთ ჩაგდებას.

ბერლინი. ანკრსა და ავრს შორის დღე მშვიდობიანათ ჩატარდა. ავრსა და უაზის შორის მტრის იერიშები უშედეგო იყო.

ლეჩხუმის ფრონტი

გენ. სუმბათაშვილის მოხსენება.

გენ. სუმბათაშვილი შემდეგს ატყობინებს სამხედრო მინისტრს: 8 აგვისტოს შუაღამისას ტყიბულის ჯარი პოლკ. ზაქარიაძის მეთაურებით გადავიდა შეტევაზე და შემოერტყა სამი მხრით სოფელ დღნორისას, რომლის ახლოებათ ერთი თვეა დაუსრულებელი ბრძოლა მიდიოდა. მტრის განუწყვეტელი თოფების გრიალი ჩვენებს საშუალებას არ აძლევდა სრულიათ შემორტყმოდენ ს. დღნორისას. ჩვენი არტილერია საუცხოვოთ მოქმედებდა და რამოდენიმეჯერ დაიხსნა ჯარი ცუდ მდგომარეობიდან, დილას გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა და არ ჰქონდა ძალა გამაგრდენ, რის გამო შეუდგენ ნელ ნელა უკან დახევას. ჩვენები შეცვივნდენ სოფელში და ცეცხლს მისცეს 7 სახლი, სადაც თავს იფარავდენ ბანდიტები. ჩვენის მხრით დანაკლისი უმნიშვნელოა. ხელში ჩაგვივარდა მრავალი ვინტოვკები, პატრონები და სხვა მასალები. 9 აგვისტოს ჩვენი ჯარი დაედევნა რა მოწინააღმდეგეს არ აძლევდა საშუალებას გამაგრებულიყო უღელტეხილზე, სადაც წინასწარ გამზადებულ ჰქონდათ სანგრები. ზარბაზნების ყუმბარების საშუალებით მათი სანგრები მიწასთან გაასწორეს ჩვენებმა, რომლის შემდეგ მოწინააღმდეგემ უწესრიგოთ უკან დაიხია. ამის შემდეგ ჩვენებმა დაიკავეს სოფ. ჩორთისა და სახჩეური. ს. დერჩი დღემდის გახვეულია არტილერიის ცეცხლში. ტყვეთ ჩაგვივარდა ბრბოს მეთაური როტის კამანდირი დარახველიძე და ერთი პოდპრაპორშჩიკი. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ს. ნიკორის ძირში, სადაც ბალშევიკებს შტაბი აქვს—ჩაყარა 3 ყუმბარა. ჩვენი ჯარები იბრძოდენ, როგორც ლომები.

ლეჩხუმელების დელეგაცია.

10 აგვისტოს ქუთ. გუბერნიის კომისარს წარუდგა ლეჩხუმის დელეგაცია და მოლაპარაკების გამართვა თხოვა; გუბერნიის კომისარმა შემდეგი წერილობითი პასუხი გაუგზავნა ლეჩხუმის მცხოვრებლებს. მე მოვისმინე თქვენი გამოგზავნილი სიტყვა, მაგრამ ჩვენ ის არ გვაკმაყოფილებს. ამასთან გიგზავნით მთავრობის განცხადებას და უკანასკნელათ გაფრთხილებთ: თუ არ გინდათ ჯარი გადავიდეს თქვენს სოფლებში, თუ არ გინდათ მოხდეს უბრალო სისხლის ღვრა ძმათა შორის, ჩვენ მზათ ვართ შევაჩეროთ ჯარის შეტევა, აირჩიეთ საზოგადოებებმა ნამდვილი წარმომადგენლები, რომელთან გავმართავთ მოლაპარაკებას. თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ, რომ არ გვინდა ხალხის აწიოკება, შეწუხება. ჩვენ ყველაფერი ხალხისთვის გვინდა და ვდევნით ყველა მას, ვინც ხალხს აწუხებს. მთავრობას შესწევს იმდენი ძალა, რომ გაუმკლავდეს ერთი კუთხის ყაჩაღურ გამოსვლას. წინადადებას გაძლევთ გონს მოხვიდეთ! ეს იქნება ჩემი უკანასკნელი გაფრთხილება. თუ კი თქვენ იცნობთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და დაყრით იარაღს, ვიშუამდგომლებ მთავრობის წინაშე, თქვენი გამოსვლებისთვის არავინ დაისაჯოს. (ს. დ.)

ბაქოს ამბები

როგორც ვიცით, ბაქოს ბედ იღბალი კარგა ხნის განმავლობაში საბჭოთა უფლების წარმომადგენლების ხელში იყო, რომელთა სათავეში იდგა ეგრეთწოდებული „კავკასიის განსაკუთრებული კომისარი" შაუმიანი. ამ უკანასკნელ ხანში, როგორც ცნობები იყო, იქ გადატრიალება მოხდა და მთავრობათ გახდა ბაქოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელთაც აიღეს რა ბაქოში ძალა-უფლება ხელში, გამოუშვეს მოწოდება. ეს გადატრიალება შედეგი იყო „ბაქოს საბჭოს სახალხო კომისრების" პოლიტიკისა და ოსმალთა ჯარების შეტევისა ქ. ბაქოზე. მოგვყავს ბაქოს ახალი მთავრობის დროებითი აღმასრუ-

ბელი კომიტეტის პრეზიდიუმის მოწოდება სიტყვა სიტყვით:

„ამხანაგებო და მოქალაქენო! უმძიმეს მომენტში, როდესაც რუსეთის რევოლიუციის მტერი მოადგა ბაქოს ბჭეებს, ქ. ბაქოს საბჭოს სახალხო კომისრები თანამდებობიდან გადადგნენ. ვიწრო პარტიული პოლიტიკით გაჟღენთილმა მთავრობამ ვერ შესძლო იმ ხანში, რამდენი ხანიც მან იარსება, შეექმნა საგარეო თუ საშინაო ფრონტზე ისეთი მორალური და მატერიალური პირობები, რომლებიც მისცემდენ ბაქოს პროლეტარიატს და წითელ არმიას შეძლებას უზრუნველეყოთ ბაქო საფრთხისაგან და შეენარჩუნებინათ ქალაქი რევოლიუციონურ რუსეთისთვის.

ბაქოს პროლეტარიატმა, სახელოვანმა არმიამ და ფლოტმა 25 ივლისის საბჭოს არაჩვეულებრივ გაფართოებულ კრებაზე თავისი ხმებით უარჰყო კომისართა პოლიტიკა, უნდობლობა გამოუცხადა მათ.

ამ კრიტიკულ მომენტში სამი პარტია: სოციალისტ რევოლიუციონერები, სოციალ დემოკრატი მენშევიკები და დაშნაკცუტიუნი დარჩენ თავის სარევოლიუციო პოზიციებზე და გადასწყვიტეს დაიცვან ქალაქი ოსმალთა ურდოებისაგან უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს კომისართა გადადგომისთანავე წითელი არმიის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა, მცირე გამონაკლისით, ბევრი საპასუხისმგებლო პოსტები დატოვებულ იქნა. ამ საშინელ პირობებში უმთავრობამ ქალაქში გამოიწვია დიდი პანიკა. მხოლოდ სახელოვან კასპიის ფლოტს არ დაუკარგავს ჭკუა და გონიერება. მან გამოაცხადა ქალაქში თავისი თავი მთავრობათ, და აიღო რა მთელი ძალაუფლება ხელში, შეუდგა მედგარ თავდაცვას.

პროლეტარიატის უმაღლესმა ორგანომ, აღმასრულებელმა კომიტეტმა, გაფართოებულმა საბჭოში მყოფ პარტიათა წარმომადგენლებით, თავის მოვალეობათ ჩასთვალა განეკრძო მუშაობა მხოლოდ ბაქოს საბჭოა უფლება-მოსილი პასუხი აგოს ქალაქის პროლეტარიატის და მთელი რევ. რუსეთის წინაშე.

გრძნობს რა თავისი პასუხისმგებლობის სიმძიმეს, დრ. ალმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, მუშებს და არმიელებს, მხარი დაუჭირონ საბჭოს და გაამაგრონ მისი უფლების ავტორიტეტი.

უპირველეს თავის მიზნათ პრეზიდიუმი სთვლის ყოველმხრივ გაამაგროს ფრონტი. ამის შესრულებას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებისავე დახმარებით.

მეორე მიზნად, არა ნაკლებ საყურადღებოს პრეზიდიუმი ისახავს სასურსათო საკითხის სწრაფად მოგვარებას, რის შესახებაც უკვე მიღებულია საჭირო ზომები.

ოსმალების მოახლოვების და სახალხო კომისართა გადადგომის დროს ფინანსიური აპარატი ქალაქის დაწესებულებებში მეტად აწეწილ დაწეწილი იყო. პრეზიდიუმს მძიმე ტვირთად აწვება მოაგვაროს ეს საქმე: განაახლოს ცხოვრება საბჭოს და ქალაქის დაწესებულებებში და უმთავრესად გამოიკვლიოს რაოდენობა იმ თანხისა, რომელიც საბჭოს ხაზინაში კომისრების წასვლის შემდეგ დარჩა. ბაქოს პროლეტარიატი და მცხოვრებლები მიხვდებიან, თუ რა მძიმე მომენტში ავიღეთ ჩვენ უმაღლესი ძალაუფლება ხელში.

ჩვენ ეჭვიც არ შეგვდის, რომ ბაქოს პროლეტარიატში, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებში ვპოვებთ დახმარებას და თანაგრძნობას, როგორც გარეშე მტერთან ბრძოლაში, ისე მშრომელთა ცხოვრების სოციალურ პირობათა მოწესრიგებაში. დრ. ალმ. კომიტეტის პრეზიდიუმი, შეერთებული სამხედრო ფლოტილიის—ცენტრო-კასპიის—დიქტატურასთან არის ქალაქში უმაღლესი მთავრობა.

სხვა მთავრობა არ არსებობს და მხოლოდ ამას ემორჩილება ყველა დაწესებულებანი.

მოვუწოდებთ ყველა დაწესებულებებს დარჩენ თავის პოსტებზე და განაგრძონ თავის მოვალეობის ასრულება.

მოვუწოდებთ მოქალაქეებს შეადგინონ ჩქარა რაზმები, შეებრძოლონ კარზე მომდგარ მტერს და გადურჩინონ ბაქო რევ. რუსეთს.

ყველამ, მოქალაქენო და ამხანაგებო, გასწიეთ მუშაობისკენ! ყველამ—ფრონტებისაკენ! ყველაფერი ფრონტისთვის! ამაშია ეხლა რევოლიუციის ხსნა!

დრ. ალმ. კომიტეტის პრეზიდიუმი: თავმჯდომარე ალ. არაქელიანცი. წევრები: აბრ. ველუნცი, ლ. უმანსკი, მელიკ იოლჩიენცი, აიოლლო.

სახალხო განათლების მინისტრის განმარტება

სახალხო განათლების სამინისტრომ განიზრახა გამოერკვია რაოდენობა სასკოლო ასაკის არა ქართველ ბავშვებისა და ამ მიზნის განსახორციელებლად მიმართა მშობლებს ანკეტით, რამაც სომხურსა და რუსულ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთს ოფიციალურს ქაღალდში, რომელიც მართებლობას მიართვეს, ნათქვამია, რომ სამინისტრო არა ქართველ ბავშვებს სკოლიდან გარეკვას უპირებსო, სხვანი კიდევ ამტკიცებენ, რომ მართებლობას დაძალებით სურს საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომთა გამრავლებაო და სხვ.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ან სრული გაუგებრობის ნაყოფია, ან ცილისწამება იმ მზაკვართა, რომელთაც არა სურთ შეურიგდნენ არსებულს პოლიტიკურ მდგომარეობას. საქართველოს დემოკრატიულ მართებლობას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე განზრახვა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლების შეზღუდვისა. კერძოდ, რაიცა შეეხება სახალხო განათლების საქმეს, სამინისტრო ფიქრობს, რომ სწავლა-განათლების საქმეში ეროვნულ უმცირესობათ უნდა მიეცეს ფართო თვითმართველობა, რაც მყისვე განხორციელდება თუ კი ოდნავ მაინც განმტკიცდება ჩვენი ახალ გაზრდა სახელმწიფო და თანაც მოწესრიგდება საქართველოში მცხოვრებ ერების პოლიტიკური ურთიერთობა. ამრიგათვე არავის აზრათ არა აქვს რითიმე შეავიწროვოს ის, ვინც თავის თავს არა სთვლის საქართველოს მოქალაქეთ თუ. რასაკვირველია, ასეთი პირი მოწადინებული არაა ჩვენი თავისუფლებისა და რევოლიუციის მონაპოვართა დამხობისა. სახალხო განათლების სამინისტროს მიერ განზრახულ ანკეტას ერთად-ერთი უბრალო, კანონიერი და მიზან-შეწონილი აზრი ჰქონდა, სახელდობრ: რამდენი **სახაზინო** საშუალო სკოლა იქნებოდა საჭირო საქართველოს ქვეშევრდომ არა ქართველ ბავშვთათვის. სახალხო განათლების სამინისტრო იმ აზრისაა, რომ სახელმწიფომ უწინარესათ თავის მოქალაქეთათვის უნდა იზრუნოს. საქართველოს ნორჩ სახელმწიფოსთვის ეს მით უმეტეს საჭიროა, რადგან დღეს-დღეობით მისი ქონებრივი ძალა სუსტია. სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა მომავალ სასწავლო წლისა ისე მცირეა, რომ არა თუ ახალი სკოლები გაიხსნას, ვშიშობთ, ბევრი აწ არსებულიც არ დაიხუროს, რაკი ასეთია ჩვენი ყოფა, ბუნებრივად იშვა ის აზრიც, რომ აწ არსებული სასწავლებლები უპირველესად და უპირატესად ემსახურებოდენ საქართველოს მოქალაქეთ განურჩევლად ეროვნებისა. ჩვენი ჯერ კიდევ ქონებრივად წელგაუმართველი სახელმწიფო დღევანდელს მძიმესა და გარდამავალს ხანაში ვერ იდებს თავს შეინახოს სკოლები უცხო ქვეშევრდომთათვისაც. ასეთი მძიმე ტვირთი კიდევაც რომ დააკისროს მართებლობამ ჩვენს დღეს დღეობით ღარიბ ხაზინას და ვსთქვათ, მარტო ტფილისში შეინახოს სახაზინო სკოლები უცხოთათვის, მაშინაც კი პროვინციაში აუცილებლად უნდა დაიხუროს რამდენიმე უკვე გამართული სასწავლებელი და ღვთის ანაბარად დარჩეს მრავალი ქართველი და არაქართველი ბავშვი რესპუბლიკის მოქალაქეთა. ასეთი მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველი კეთილ-მოაზრე და მიუდგომელი რუსი თუ სომეხი დარწმუნდება, რომ სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯი მიზანშეწონილია და რომ უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის მოქალაქეთა საჭიროება უნდა დაკმაყოფილდეს.

მიუხედავად ამისა, სომხურისა და რუსული საზოგადოების ზოგიერთს წრეში მტრულად შეეგებნენ სამინისტროს ანკეტას და მშობლები არ იძლევიან საჭირო ცნობებს. სამინისტროს სხვა გზა აღარა აქვს, თუ არა თვითონ, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ხელთ აქვს დაადგინოს სახაზინო სკოლების რიცხვი არა ქართველ ბავშვთათვის.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. **ლასხიშვილი.**

ახალი ამბები

ხუთშაბათს 15 აგვ. დილის 10 საათზე დანიშნულია საოლქო კომიტეტის ს. დ. მ. პ. კრება ბიუროს ბინაზე. სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლათ დასწრონ.

◆ **ლატარია ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოთ.** მთავრობის ნებართვით გაიმართება დიდი ლატარია. თითო ბილეთი ღირს 25 მან. სულ არის 5 მილიონი მანეთის ბილეთი გამოშვებული. 200,000 ცალ ბილეთს, შორის მოგებიანი ბილეთი 2,393 ცალი. მოგებიანი ბილეთი ერთი მიიღებს 100,000 მანეთს, ერთი 50 ათას მანეთს ერთი 25 ათას მანეთს, ორი 10,000 მანეთს. ლატარია დანიშნულია 25 დეკემბერს 1918 წელს.

◆ **დატუსაღება.** გუშინ დილის ცხრა საათზე შინაგ. საქ. მინისტრის ორდერით საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწემ გაჩხრიკა ბინა რუსთა ეროვნულ საბჭოს წევრის, ყოფილ ამიერ-კავკასიის მთავრობის საქმეთა გამგის თანაშემწის სერგი ნიკოლ. სირინისა და დაატუსაღა ის. გაჩრეკის დროს წაიღეს იარაღი და სხვადასხვა ქაღალდები.

◆ **გერმანიის მისიის** ცნობით გერმანიის საელჩო მოსკოვიდან პსკოვში გადავიდა.

◆ **ფოსტა ტელეგრაფი.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ნება დართულია ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპოდენცია მიღებულ იქნას როგორც ქართულს, ისე რუსულს ენაზე გამომგზავნელთა სურვილის მიხედვით.

◆ **ლეჩხუმიდან.** სამხედრო მინისტრს გენ. სუმბათაშვილი დეპეშით ატყობინებს: „ბანდა“ ლეჩხუმის მაზრაში მარცხდება და უკან იხევს. დავატყვევით აფიცერი დარახველიძე და ერთი პრაპორჩიკი.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში მიიყვანეს 8 ხოლერიანი და 8 საეჭვო ავადმყოფი. საეჭვოდან სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 1. მორჩა 11. მოკვდა 10 ხოლერიანი და 2 საეჭვო 12 აგვისტოს საავათმყოფოში იყო 99 ხოლერიანი და 14 საეჭვო ავათმყოფები.

◆ **შეკითხვები.** ეროვნულ დემოკრატების ფრაქციის სახელით რ. გაბაშვილმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში შემდეგი შეკითხვა შეიტანა: საქართველოს რკინის გზებზე მოსამსახურეთა შტატების შემცირება და შტატს გარეშე დარჩენილი მოსამსახურეთა დათხოვნა უკანონოთ და უწესრიგოთ ხდება. რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ კომიტეტის უკანონო მოქმედებანი უკმაყოფილებას იწვევს მოსამსახურეთა შორის. რა ზომებს იღებს გზათა მიმოსვლის მინისტრი რომ 1) ცენტრალურ კომიტეტის უკანონო მოქმედებანი გაუქმებულ იქნან და 2) რკინის გზის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება სახელმწიფოებრივი წესით მოხდეს გრ. ვეშაპელმა შემდეგი შეკითხვა შეიტანა: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დროს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც მიწათ მოქმედების სამინისტრომ სახელმწიფოს ქონება როგორც არის მაგალითად ბორჯომის მინერალური წყლები და სხვა, ზოგი გაყიდა და ზოგიც იჯარით გასცა; ეს კი ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. არის თუ არა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იმისი მომხრე, რომ ეროვნულ საბჭოსთან შესდგეს კომისია, რომელიც გადახედავს წინად დადებულ ხელშეკრულებას და იქნება თუ არა გაუქმებული ის პირობები, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** წარუდგინა მთავრობას მოთხოვნილება გადასდოს 500,000 მ ნეთი ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთათვის სალიკვიდაციო დახმარების აღმოსაჩენათ.

◆ **ქართულ გერმანულ კულტურულ** საზოგადოებაში დღეს, აგვისტოს 14-ს, საღამოს 7 ნახ. ს. საქ. ეროვნულ საბჭოს ყოფილ ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11) შესდგება ქართულ-გერმანულ კულტურული საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. გასარჩევია მომავალი საზოგადო კრების სამოქმედო პროგრამა.

◆ **გენ. მაზნიაშვილის ჩამოსვლა.** თფილისში ჩამოვიდა გენ. მაზნიაშვილი, რომელმაც გუშინ მოხსენება გაუკეთა მთავრობას სოხუმის მდგომარეობის შესახებ.

◆ **უკრაინის რადას** თფილისში ფოთიდან ატყობინებენ, რომ იქ მოსულა უკრაინის გემი „დიმიტრი“, რომელსაც მიჰყავს მგზავრები ოდესაში 200 მანეთად თითო, ბავშვები უფასოდ.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** წარუდგინა მთავრობას ხარჯთ-აღრიცხვა სამინისტროს მოსამსახურეების შესანახად.

◆ **ლანჩხუთიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ქალაქში და მის რაიონში შიმშილისაგან ხალხი ქუჩაზე ცვდება. ხოლერით მოკვდა ოთხი, ავათ არის ათი. გთხოვთ საჩქაროთ მოგვაშველოთ სურსათი. ხალხში აღელვება არის. შიმშილის ნიადაგზე მოსალოდნელია არეულობა. ქალაქის თავის ამხანაგი კვიტაშვილი.

◆ **დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა წითელი ჯვრის უფროსი კ. სმირნოვი გერმანიის მისიის შეურაცყოფისათვის.

◆ **ქურდობა.** 12 აგვისტოს ღამით გ. ზურაბოვის ბინიდან ვაგზალის ქუჩა № 7, რამდენიმე ბოროტ გამზრახველებმა წაიღეს 15 ათასი მანეთის ნივთები.

◆ **საქონლის მიმწვდენელ** კომიტეტის საწყობიდან მადათოვის ქუჩა № 5, წაიღეს 10 ათასი მანეთის ნივთები. როგორც გამოირკვა, ქურდობა მოუხდენია მოსამსახურე სტეფანე არტემოვს სხვა მოსამსახურეებთან ერთად. დამნაშავენი დაატუსაღეს.

◆ **მოხელეთა წასვლა საქართველოდან.** მთავრობის დადგენილებით ყველა ის მოხელენი სხვა და სხვა დაწესებულებებისა, რომელთაც სალიკვიდაციო და გზის ფული მიიღეს—მოვალენი არიან ამ დადგენილებიდან 7 დღის განმავლობაში წავიდნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან. თუ ისინი თავის ნებით არ წავლენ—ძალით განიდევნებიან საზღვრებიდან. თერგის ოლქის მთავრობასთან შეთანხმებით ამ კათეგორიის პირთათვის კავკასიის გზა გახსნილია. ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

◆ **ტუსაღთა მუშაობა.** თანახმად გზათა მინისტრის თხოვნისა, საქართველოს სამხედრო გზის შესაკეთებლად საპყრობილეთა ინსპექცია ამ დღეებში აგზავნის პატიმართა პირველ რაზმს, რიცხვით 50 კაცს. ეს რაზმი იმუშავებს მცხეთის მახლობლად.

◆ **დაჭრა.** 12 აგვისტოს ბაღ „პარიზიანში“, მიხეილის ქუჩაზე, ჩხუბი ასტეხეს აფიცრებმა დოლმაზოვმა და კ. ბოკუჩავამ. ბოკუჩავამ რევოლვერით მძიმეთ დაჭრა დოლმაზოვი. უკანასკნელი ქალაქის საავათმყოფოში მოათავსეს; ბოკუჩავა დაატუსაღეს.

კრებები და მიტინგები

დღეს, 14 აგვისტოს, მუშათა კლუბში (მიხეილის ქუჩა, № 65), გაიმართება რუსული წარმოდგენა. დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარ საათზე.

პროვინციის ქრონიკა

ლიხაური (გურია). ჩვენს საზოგადოებას შიმშილმა კარს მოაყენა სიკვდილის აჩრდილი. ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. საზოგადოების საერთო ყრილობამ აირჩია 50 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც ყოველი ღონე უნდა მიიღოს მწვავე მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. 29 ივლისს ის ჩავიდა ოზურგეთში, რომ მთავრობისა და ორგანიზაციებისათვის ეთხოვა დახმარება. უკანასკნელთაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს დამშეულთა დეპუტაციას, აღუთქვეს სასწრაფოთ მიღება ყოველგვარი შესაძლებელი ზომებისა, მისცეს მას ჯერჯერობით 200 ფუთზე მეტი სიმინდი. მიუხედავათ ყოველგვარ უბედურებისა, ლიხაურელებმა იციან, რომ პირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირისა. მათ ასეთ მდგომარეობაშიაც არ ავიწყდებათ კულტურული მუშაობა.

ქალაქის საბჭო.

12 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე: სურს თუ არა საბჭოს ქალაქის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა დღეს იქნას განხილული.

წინადადება შემოდის, რომ ხარჯთაღრიცხვის განსახილველად დაინიშნოს სპეციალური სხდომა. ეს წინადადება მიღებულ იქნა და ხუთშაბათს მოხდება საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა ამ საკითხის განსახილველად.

ხმ. ხანდანოვი (კ. დ.) თხოულობს სიტყვას რიგს გარეშე განცხადების გასაკეთებლად გაზ. „ნაროდნაია სვობოდას“ დახურვის შესახებ.

თავმჯდომარე: მე მგონია, რომ საბჭოს უფლებაში არ შედის გაზეთის დახურვის შესახებ რაიმე დადგენილება გამოიტანოს, ეს მთავრობის საქმეა და ჩვენი ჩარევა შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიძლია ჩემი უფლებით დავსვა ეს საკითხი და თუ საბჭო მოისურვებს ამას, მაშინ სხვა საქმეა.

ხუდადოვი. (ს. რ.) ამბობს, რომ 1904—5 წ. საბჭო ხშირად შედიოდა ასეთ საკითხების განხილვაში და ჩვენს დემოკრატიულ საბჭოს არ შეუძლია ეს საკითხი არ დასვას. საბჭომ დაადგინა მოისმინოს ხმ. ხანდანოვის რიგ გარეშე განცხადება, მხოლოდ 11 საათის შემდეგ. (ეს იმიტომ, რომ საბჭო 11 საათამდე არ მოსცდეს საქმიან მუშაობას).

განსახილველია ხოლერასთან ბრძოლის საკითხი. მომხსენებელი **კალიჟნიი** აღნიშნავს იმ ზომებს, რომელიც ქალაქის გამგეობამ მიიღო ხოლერის წინააღმდეგ და ამბობს, რომ უსახსრობამ ძლიერ დააბრკოლა გამგეობა ხოლერასთან ბრძოლაში. ის 300 ათასი მანეთი, რომელიც მთავრობამ გადასდო ხოლერასთან საბრძოლველათ ჯერაც არ მიგვიღია ტეხნიკური დაბრკოლების გამო, მაგრამ, საბედნიეროთ, ხოლერით ავათმყოფობამ ამ უკანასკნელ ხანებში მაინც იკლო. გამგეობამ მიიღო შემდეგი ზომები: აცრა უფასოთ სწარმოებდა და სწარმოებს ეხლაც. სწარმოებს აგრეთვე წყლის ანალიზი. წყალში ჯერჯერობით ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩენილა, იკითხება ლექციები ხოლერის შესახებ ყველა ენებზე, მიღებულია ზომები აგრეთვე უსუფთაობის წინააღმდეგ. მოვსპეთ ქუჩაში სხვადასხვა სანოვაგის ყიდვა-გაყიდვა, რაც შეეხება ქალაქის გაწმენდას უსუფთაობისაგან, ამაზე მოგახსენებთ ამხ. ოგანეზოვი.

ოგანეზოვი. მიღებულია ზომები ქალაქის გასაწმენდათ უსუფთაობისაგან; ამ მიზნით ქალაქი გაყოფილია ორ ნაწილათ; თითეულ ნაწილში არის განსაკუთრებული ტეხნიკა, რომელსაც ჰყავს რამოდენიმე მუშა და აწარმოებს ქუჩების გაწმენდას. რაც შეეხება ეზოების გაწმენდას, ამისათვის კი ფულია საჭირო და ჯერჯერობით (სანამ ფულს არ მივიღებთ) ამის მოწესრიგება ძნელია. ყოველ შემთხვევაში, უნდა აღვნიშნო, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში გაწმენდილ იქნა 20 ეზო.

ზოგიერთი ხმოსნები აღნიშნავენ უსუფთაობას ამა თუ იმ ქუჩაზე და უსაყვედურებენ სანიტარულ მზრუნველობის კომისიას უმოქმედობას (გაისმის აგრეთვე გამგეობის მიმართ საყვედურიც).

ქალაქის თავი **ნ. ელიავა** ხმოსნებს მოაგონებს თავიანთ მოქალაქობრივ მოვალეობაზე და ეუბნება, რომ თითეული მათგანი (უფრო ყურათ უნდა ღონ ეს იმათ, რომელნიც გამგეობას საყვედურებენ) ვალდებულია აცნობოს მას, ანუ რომელიმე გამგეობის წევრს ტელეფონით, ანუ სხვა საშუალებით თუ ქალაქის რომელიმე ნაწილში შენიშნავს უსუფთაობას, ანუ უწესოებას, ზომები მაშინვე იქნება მიღებული. განსახილველია მოხსენება ტრამვ. მუშებისათვის ჯამაგირის მეექვსე მომატების შესახებ. მომხსენებელი **კალიჟნიი** აღნიშნავს, რომ პურის ფასმა საგრძნობლად აიწია, ამ გარემოებამ გამოიწვია ტრამვაის მუშების მოთხოვნილება ჯამაგირის მომატების შესახებ. ამ მეექვსე მომატებისათვის არის საჭირო 6½ მილიონი მანეთი. მოხდა შეთანხმება მუშებთან და თითეული დათანხმდა 240 მ. მომატებაზე. ამ უკანასკნელის დასაფარავათაც საჭირო იყო 3 ნახევარ მილიონი მ. საბჭოს აქვს მხოლოდ ორი საშუალება: განზრახულია ტრამვაის ტარიფის გადიდება 50 პროც. და ზოგიერთ სამრეწველო დაწესებულების დაბეგვრა. ეს კი მძიმე ტვირთად დააწვება მცხოვრებლებს. ამიტომ გამგეობამ განიზრახა ყოველი ღონე იღონოს და პურის ფასი დასცეს. თუ პურის ფასი სამ მანეთამდე დავწიეთ, მაშინ მოსამსახურეს მიეცემა 200 მ. დამატებითი ჯამაგირი, თუ 3 მანეთზე ქვევით დავწიეთ, მაშინ—200 მანეთზე ნაკლები და ასე. ამ მხრივ შესაძლებელია კარგ შედეგებს მივაღწიოთ. ქალაქთა კავშირმა უკვე მოგვცა 5,000 ფუთი ფქვილი, რომელიც განზრახულია დაურიგდეს მუშებს გირვანქა ორ მანეთად. თითო სულს მიეცემა ნახევარი გირვანქა, აი ამ გზით გვსურს ჩვენ მეექვსე მომატება მინიმუმამდე დავიყვანოთ. მასთან უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობამ მეექვსე მომატების შესახებ მიიღო პრინციპად დეკლარაციული ხასიათის რეგისტრაცია მოახდინოს მოსამსახურეთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ, არავითარ კანტროლს, გარდა ამხანაგურის, ადგილი არ უნდა ექნეს. თითეული მოსამსახურე მიიღებს დამატებითი ჯამაგირს იმისდამიხედვით, თუ რამდენი სული ჰყავს სარჩენი. 200 მ. ნავარაუდევია საშუალო ოთხ სულზე. შესაძლებელია ზოგიერთებმა მიიღონ 200 მეტიც, ზოგიერთებმა კი 50 მ., 100 მ.

ხანდანოვი. ქალაქის საბჭო თავიდანვე შემცდარ აზრს და გზას დაადგა. შეუძლებელია ტარიფის გადიდება. უნდა მიიღოს საბჭომ ყოველგვარი ზომები და აიძულოს სახელმწიფო ხაზინა გაიღოს საჭირო თანხა.

ქალაქის თავი: როგორ შეუძლია საბჭოს აიძულოს მთავრობა სახელმწიფო ხაზინიდან გაიღებინოს საჭირო თანხა?

ხანდანოვი: აქაც ს.-დემოკრატები ხართ ხელმძღვანელი პარტია და იქაც. შეგიძლიათ თქვენ ამხანაგებს დაავალოთ ეს დებულება გაატარონ საბჭოში. **პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელი** წინააღმდეგია დამატებითი ჯამაგირის ისეთი წესით მიცემის, როგორიც შეუმუშავებია გამგეობას. ის მოითხოვს, რომ არ იქნას რეგისტრაცია თავისუფალი, თორემ ბოროტ-მოქმედებას ექნება ადგილიო. მუშებს არ შეუძლიათ კანტროლი გაუწიონ ერთმანეთს, ეს დიდ შუღლს და განხეთქილებას დაბადებს მათ შორის. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია: საბჭო პრინციპიალურად ეთანხმება გამგეობის გეგმას მეექვსე მომატების შესახებ, მხოლოდ უფლებას აძლევს უკანასკნელს (გამგეობას) მომატების მიცემის წესი შესცვალოს საჭიროებისდაგვარათ.

თავმჯდომარე: ვრცელდება თუ არა ეს მომატება ყველა მოსამსახურეებზე? საბჭომ დაადგინა ყველა მოსამსახურეებზე გავრცელდეს ეს დებულება და მიეცეს მათ პური იაფ ფასებში.

მორიგი საკითხია ქალაქის თავის ამხანაგის არჩევა.

აუშტროვი. ს.-დემოკრატიული ფრაქცია ქალაქის თავის ამხანაგის თანამდებობაზე ასახელებს **ამხ. გ. კონიაშვილს.** მრუთინიანი (სომხ. კად.) ასახელებს ხანდანოვს (კ-დ.). ტერ-სტეპანოვი (დაშნაკცაკანთა პარტია) მხარს უჭერს კონიაშვილის კანდიდატურას. თარხნიშვილი. ს.-რევოლიუციონ. ფრაქციაც მხარს უჭერს. გ. ვეშაპელი. ნაც.-დემოკრატიული ფრაქცია პერსონალურად მხარს უჭერს წამოყენებულ კანდიდატს. **ხანდანოვი** თავის კანდიდატურაზე უარს ამბობს და აცხადებს, რომ კადეტების პარტია სხვადასხვა მოსაზრებით კენჭის ყრის დროს თავს შეიკავებს. ფარულ კენჭის ყ კონიაშვილმა მიიღო 46 თეთრი და ერთი შავი [illegible] უკიის მოადგილის მოსაწყობად [illegible] დოს 7 [illegible]

საბჭომ უკამათოდ მიიღო აგრ გამგეობის წინადადება მილიციის როსისათვის ეტლის მოსაწყობათ 11 მანეთის გადადების შესახებ.

ხუდადოვი თხოულობს სიტყვას გარეშე პრაქტიკული ხასიათის გა დებისათვის.

თავმჯდომარე. ერთხელ და სამ მოთ უნდა დავაწესოთ ერთნაირი ს მი: შეუძლებელია ასე განცხადების კეთება. მე არ ვიცი, თუ რას ი ანუ რაზე ილაპარაკებთ. საჭიროა კრეტიულად წერილობით შემოიტა თუ რაზე გსურთ ლაპარაკი. ეხლა განსახილველია ხანდანოვის შეკით და კითხვები.

შემდეგ თავმჯდომარე კითხუ ხანდანოვის შეკითხვას, რომელიც კითხვას შეიცავს. შეკითხვა ეხება მ ლიციის უკანონო მოქმედებას, შინ საქმეთა სამინისტროსთან ს განკ რაზმის დაარსებას და სხვ.

ხანდანოვი. ჩემს შეკითხვას მსურს უმეტო მეცამეტე კითხვა.

თავმჯდომარე. ეს შეუძლებელია, რილობით უნდა იქნას შემოტანილი.

ხანდანოვი. მოჰყავს რამოდენიმე გალითი მილიციის უკანონო მოქმედ შესახებ და სასტიკად ილაშქრებს გ რახველიძის (მილიციის უფ. თანაშ ასრულებდა) და კაჩუხოვის წინააღმ

თავმჯდომარე. ხმოსან ხანდანოვს და მოვახსენო, რომ ყოვლად დაუშვ ლია პიროვნების ასე უსაბუთოდ შ რაცყოფა. უბრალო ზნეობა მოითხ პიროვნებას პატივი სცეთ და სანამ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდ არ დამტკიცებულა, მანამ მის შესა თავი შეიკავოთ.

კონიევი აცხადებს, რომ გამგეო ვერ მოასწრო საჭირო ცნობების შე ბა და ამიტომ უკეთესია ამ შეკით ბის განხილვა გადაიდოს.

ხანდანოვს შეაქვს წინადადება არ ულ იქნას კომისია, რომელიც ამ კითხს გამოიძიებს და საბჭოს წარ გენს.

ნ. ელიავა წინააღმდეგია. ის მოი ხოვს, მიეცეს დრო გამგეობას თით მისცეს განმარტება ხანდანოვს შემ სხდომაზე. მცირე კამათის შემდეგ ს ჭომ კომისიის არჩევა უარყო და გამგე ბას მიანდო ამ საკითხის მოწესრიგებ

აკ. ს—უა.

მოვალეობის მსხვერპლ

სამტრედიის რკინის გზის გვარდი ლები გულდათუთქული დავსტირით ლ ჩხუმის ფრონტზე „გორმაღალას“ აღ ბის დროს გმირულათ დაღუპულებ პორუჩიკ ასათიანის (მზვერავი რაზმ უფროსი იყო) და სამტრედიის რკინ გზის გვარდიელების ავქსენტი ბარ მიძის და კოსტანტინე ფიცხალავას დ კარგვას. ამ ამხანაგების დაკარგვა დი დანაკლისს შეადგენს ჩვენთვის. მათ თა ვიანთი ნორჩი სიცოცხლე შესწირეს რე ვოლიუციას, საქართველოს ნორჩ რეს პუბლიკას ანარქიის ჩაქრობაში. მათ იდეია იყო საქართველოს რესპუბლიკ განმტკიცება და იარაღით ხელში შე ტიეს ლეჩხუმის ფრონტზე ყაჩაღთ ბრბოებს, მაგრამ ბოროტის ხელით გამოსროლილმა ტყვიამ მოსტაცა მათ სიცოცხლე. მით მოუსპეს დამტკბარიყვენ გამარჯვების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ბედნიერებით. მაგრამ მათი გმირული სახელი მათ ამხანაგებში დაუვიწყარი რჩება. ფრონტზე მყოფი წითელ გვარდიელები ვუერთებთ მათ ჭირისუფლების მწუხარებას ჩვენს მწუხარებას.

სამტრედიის რკინის გზის გვარდიის
დავალებით ივაკი გიორგაძე.

ძალა—ერთობაშია!

(11 აგვისტოს ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრების გამო).

კვირას, 11 აგვისტოს, მუშათა კლუბში მოხდა ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრება. შეიძლება ითქვას, რომ ეს კრება გაგრძელება იყო 28 ივლისის საზოგადო კრებისა. როგორც მკითხველს ეხსომება, 28 ივლისის კრებაზე დიდი აურ-ზაური და განხეთქილება მოხდა ბეჭდვითი საქმის მუშათა შორის. მიზეზი ამისა შემდეგი იყო: ერთი ჯგუფი განსაკუთრებით ქართველობა—პროფესიონალურ კავშირში თხოულობდა ენათა თანასწორობას, ესე იგი, განცხადებები, საზოგადო კრებაზე ლაპარაკი და საქმის წარმოება კავშირში შეძლებისდაგვარად წარმოებულიყო ყველა ადგილობრივ ენებზე,—ეს იყო ამ ჯგუფის მოთხოვნილება.

ჩვენი ამხანაგების ეს ელემენტარული და სრულიად სამართლიანი მოთხოვნილება—რუს და სომეხ ამხანაგებმა სისწორით ვერ გაიგეს და შოვინისტურ მოთხოვნილებათ მონათლეს. 28 ივლისის საზოგადო კრებაზე ამ კითხვამ კიდევ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო და გაუგებრობა იქამდე მივიდა, რომ კრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ ამ ჯგუფის გაკიცხვის რეზოლიუცია შეიმუშავა და უნდოდა მისი მიღება. ჩვენმა ამხანაგებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს და კრება დასტოვეს.

ამის შემდეგ ორი კვირა გავიდა და 11 აგვისტოს კვლავ მოწვეულ იქნა საზოგადო კრება.

კრებას თავმჯდომარეობს ამხ. სოლ. ვადაჭკორია.

ამ კრებაზე უნდა მომხდარიყო გამგეობის არჩევნები. დარბაზი წევრებით სავსე იყო. ყველას სახეზე ღიმი უკრთოდა. წარსულ კრებაზე გათიშული ამხანაგები, დღეს პირისპირ შეხვდნენ. კრებას უფრო მეტი თავის დაჭერა ეტყობა, ვიდრე წარსულ საზოგადო კრებას.

ყველა მოლაპარაკე ამხანაგი კრებას თანხმობისაკენ, ერთად და შეთანხმებულ მუშაობისაკენ მოუწოდებს... ყველა ამხანაგის ნალაპარაკევში სინანული გამოკრთის, ყველა წარსულ კრებას წყევაკრულვით იხსენიებს..

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო მოხსენება გააკეთა პროფესიონალურ კავშირების საბჭოთა სიკრეტარიატის წარმომადგენელმა ამხ. ხელაძემ.

— რას თხოულობთ თქვენა?—ეკითხება სეკრეტარიატის კრება ამხ. ვადაჭკორიას, ამბობს ამხ. ხელაძე,—ჩვენი მოთხოვნილება ენათა თანასწორობაა პროფესიონალურ კავშირშიო,—უპასუხებს ამხ. ვადაჭკორია.

— რას უპასუხებთ თქვენ?—ეკითხება იგივე კრება ამხ. ივანოვს, გადმოგვცემს ამხ. ხელაძე,—ჩვენ მაგ მოთხოვნილებას არა თუ ვაკმაყოფილებთ, დავიცავთ კიდეცო,—უპასუხებს ამხ. ივანოვი.

— აი ამის შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ—განაგრძობს ამხ. ხელაძე,—ბეჭდვითი საქმის მუშათა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება გამოწვეულია გაუგებრობით. ამიტომ იმსჯელა რა სეკრეტარიატმა ამ კითხვაზე, ეს განხეთქილება ჩასთვალა გაუგებრობათ და შეცდომათ.

ასე და ამგვარათ წარსულ კრებაზე ზოგიერთა ამხანაგების გაუგებარმა მოქმედებამ და აგიტაციამ მთელი კრება აიყოლია და ჩვენი ამხანაგების გაკიცხვაც კი მოინდომეს. ასეთ მოქმედების შემდეგ ჩვენმა ამხანაგებმა კრება მიატოვეს.

11 აგვისტოს ეს შეცდომა და გაუგებრობა გამოსწორებულ იქნა, ყველა რაღაც სინანულსა გრძნობს.

კრებამ ერთხმად მიიღო სეკრეტარიატის რეზოლიუცია:

„თფილისის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა მოისმინა რა ამხ. ივანოვისა და ვადაჭკორიას მოხსენება პროფესიონალურ კავშირში მომხდარ ინციდენტის შესახებ, რაიც გამოიწვია კავშირში ენათა გათანასწორების მოთხოვნამ, და მის გარშემო ამტყდარ აურზაურს, რომელმაც საბაბი მისცა ზოგიერთ ელემენტებს ეს მდგომარეობა გამოეყენებიათ თავიანთ ფრაქციულ და ნაციონალისტურ მიზნებისათვის, სეკრეტარიატმა დაადგინა: სეკრეტარიატი სცნობს, რომ ეს ინციდენტი გამოწვეულია ურთიერთ შორის გაუგებრობით, სცნობს, რომ გამოყოფილმა ჯგუფმა ჩაიდინა ტაქტიკური შეცდომა, სცნობს, რომ საზოგადო კრებაზე გამოტანილი დადგენილება მათი გაკიცხვის შესახებ გაუგებრობაა, რაიცა ხელს უწყობს კავშირის დეზორგანიზაციას. ჩაითვალოს ეს ინციდენტი გაუგებრობათ და მოუწოდებს კავშირის წევრებს შეთანხმებით იმუშავონ კავშირში, რომელიც შენებულია ყოვილივე ფრაქციონურ ინტერესების გარეშე და სდგას ინტერნაციონალურ ნიადაგზე“.

დასასრულ მოხდა გამგეობის არჩევნები. კრების შეთანხმებულმა მსვლელობამ არჩევნებიც გაადვილა, და გამგეობაში შესაფერისი კანდიდატებიც გაიყვანა. არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: ივანოვი, ვადაჭკორია სოლ., ბეგიჯანოვი, წულაძე ვიქ., ალშევსკი, გოგუაძე ნ., თამაზაშვილი მიხ., რეინვალდი, სრაზიანი, ტურენკოვი, პეტაია, დოროჯგინიძე, პასტუხოვი, ჭელიძე დ. ენოვი.

მიხა თამაზაშვილი.

რუსთა ეროვნულ საბჭოში

8 აგვისტოს რუსთა ეროვნულ საბჭოში ლებედევმა მოხსენება გააკეთა კავკავში მოგზაურობის შესახებ. მან განმარტა 1) ლტოლვილთა მდგომარეობა კავკასიაში და თერგის ოლქში. 2) მუშების მდგომარეობა, რომლებიც მსახურობენ გაუქმებულ დაწესებულებებში. საქართველოში მყოფ რუს მოქალაქეთა ინტერესების დაცვის შესახებ და რუსეთსა და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. ლტოლვილთა მდგომარეობა ლებედევის სიტყვით თერგის ოლქში, მეტად მძიმეა. ეს გამოიწვია ყაზახებსა და თერგის ოლქის მთავრობის შორის ბრძოლამ. ყაზახების ჯარს მეთაურობს პოლკ. [illegible] და ბიჩერახოვი. ყაზახები კავკავიდან 40 ვერსის მოშორებით დგანან. ვროპოლი და მაიკოპი აღებულია, ამ არ იციან ვისმა ჯარმა აიღო—კებმა თუ გენ. ალექსეევის. ყაზახები ამარცხებენ თერგის მთავრობას. 3 კვირის განმავლობაში კავკავში საგრძნობლათ აიწია ფასმა, როგორც პურზე, ისე სხვა სანოვაგეზე. ვინაიდან კავკავი სავსეა ლტოლვილებით, რომელთაც იქით წასვლა არ შეუძლიათ, თერგის მთავრობა ნებას არ აძლევს დანარჩენ ლტოლვილებს კავკავში შესვლისას.

საქართველოში მყოფ რუს მოქალაქეთა ინტერესების დაცვისათვის მიღებულ იქნა, მიეცეს რუსულ ეროვნულ საბჭოს საკონსულო უფლებანი მთელს ამიერკავკასიაში.

საქონლის გაცვლაზე საქართველოსა და თერგის მთავრობის შორის რუსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლის დახმარებით, მოლაპარაკება სწარმოებს.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის ძალითაც მიენდო ეროვნულ საბჭოს შეუდგეს რუს მოქალაქეთა რეგისტრაციას, რომლებიც სცხოვრობენ კავკასიაში და სთხოვოს საქართველოს მთავრობას მოკლე ხანში გამოსცეს ქვეშევრდომთა კანონის მე-4 მუხლის დამატება, რომ ეს მუხლი სავსებით ახსნილი და განმარტებულ იქნას.

რას მოხმარდეს ავტომობილები?

ყველამ იცის, რომ ჩვენში დიდძალი ავტომობილები, ავტომობილის ნაწილები, რეზინი, მოწყობილი ქარხნები და მანქანები დარჩა: ეს ქონება რამდენიმე ასი მილიონი მანეთი ღირს, რაიცა დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს, თუ კი ამ საქმეს მიექცევა ჯეროვანი ყურადღება. ავტომობილების მეტი ნაწილი შესაკეთებელია, დანარჩენი მზათაა და მუშაობენ. ავტომობილები და მთელი ქონება გზათა და სამხედრო უწყების განკარგულებაში იმყოფება. საავტომობილო საქმეზე დიდძალი ფული იხარჯება—თითო ავტომობილზე დღეში 400—500 მანეთი. გზათა უწყებამ, როგორც განცხადებიდან სჩანს, განიზრახა კომერციული მიზნისათვის იჯარით გაცემა თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ყველა გზები და საჭირო რიცხვი ავტომობილებისა მონოპოლიის უფლებით.

რას უპირებს სამხედრო უწყება იმ ავტომობილებს და საავტომობილო ქონებას, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება, არავინ იცის. რა თქმა უნდა, სამხედრო უწყება კომერციულ მიზნებზე არ იზრუნებს, მას ამას არავინ მოსთხოვს, მაგრამ იგი ყოველ შემთხვევაში მოვალეა სახელმწიფოს შემოსავალს ანგარიში გაუწიოს და გადასცეს გზათა უწყებას ყველა შესაკეთებელი ავტომობილები, ავტომობილების ზედმეტი ნაწილები, რეზინი და მანქანები, და დაიტოვოს სასტიკათ განსაზღვრული რიცხვი ავტომობილებისა მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული სამხედრო საჭიროებისათვის, ვინაიდან სამხედრო უწყების განკარგულებაში მყოფი ავტომობილები და ნაწილები ბევრი იკარგება.

ის რიცხვი ავტომობილებისა, რომელიც უნდა დარჩეს სამხედრო უწყებაში უსათუოდ ჩაწერილ უნდა იქნას გზათა უწყებაში და საჭირო ნაწილები: რეზინი, ბენზინი და სხ. გზათა უწყებიდან უნდა მიიღონ დადებულ ფასებში. ეს წესი უნდა გავრცელდეს ქალაქთა თვითმართველობაზე, სახალხო გვარდიაზე და სხვა დანარჩენ ორგანიზაცია-დაწესებულებებზედაც. სანამ ასეთი წესი არ დამყარდება, მანამ ავტომობილების და საწყობების გაქურდვა-დაკარგვას ბოლო არ მოეღება, და ვინც ასეთი წესის დამყარებას გადაეღობება, ის შეგნებულათ ათამამებს, ხელს უწყობს ქურდებს და სპეკულიანტებს; სად ყიდულობენ ავტომობილებს, რეზინს, ბენზინს, ავტომობილების ნაწილებს—მასალას და სხ., თუ არ სახაზინო—საწყობებიდან გადამალულ მოპარულს?

ბევრი არ გაიზიარებს ჩემ აზრს და იტყვის,—როგორ შეიძლება ის ქონება, რომელიც უსასყიდლოთ დაგვრჩა გზათა უწყებას გადავცეთ და მან მოგვყიდოს საჭიროების დროსო.

მე ყოველთვის ანგარიშს უწევ ხალხის უმრავლესობის ზარალს, მოგებას და საჭიროებას. ის ქონება, რომელიც ჩვენ დაგვრჩა, არც სამხედრო უწყებისაა, არც სხვა რომელიმესი, ის დიდი ვალია ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკისა, ამ ვალის გადახდა ხალხს აწევს მძიმე უღლათ კისერზე და რაც ხალხის გადასახადია, ის ხალხის საჭიროებას უნდა მოხმარდეს. ავტომობილები და საავტომობილო საქმის ქონება განუსაზღვრელათ, უმიზნოთ და უფასოთ არ უნდა იხმარებოდეს.

ჩვენ ყოველთვის იმას ვასწავლიდით ხალხს, — თვითმპყრობელობა ვალებს იღებს, თავის სურვილისა ხარჯავს ხალხის დაუკითხავად, ვალებს კი ხალხს ადებს კისერზე სხვადასხვა სახით, ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს ხალხის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობასო. როგორც სამხედრო, ისე სხვა უწყებებს და ორგანიზაცია-დაწესებულებებს წინასწარ განზრახულ მიზნისთვის თანხა—ბიუჯეტი აქვთ მიჩნეული და ამ თანხიდან უნდა ხარჯონ სახელმწიფო-საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ფული. რაც წინასწარ განსაზღვრული მიზნისთვის გადადებულ თანხა-ბიუჯეტზე მეტი იხარჯება, ის უკანონო ხარჯია.

ყველა უწყება-ორგანიზაცია-დაწესებულებების თანხა-ბიუჯეტიდან ავტომობილებით სარგებლობისათვის გამორიცხული ფული უნდა მოხმარდეს საავტომობილო საქმეს, თუ საავტომობილო განსაზღვრული თანხა არ ექნება, ავტომობილების საქმეც დაილუპება.

ავტომობილებით მიმოსვლა, საქონლის გადატან გადმოტანის საქმე ხალხისათვის ხელ-მისაწდომ პირობებით უნდა მოეწყოს. ამისათვის თფილისში დაგროვილი ავტომობილები როგორც სამგზავრო, ისე საბარგო უნდა ამოძრავდეს შეძლებისდაგვარათ, ყველა ქალაქებში უნდა მოეწყოს ავტომობილების შესაკეთებელი ქარხანა-სახელოსნოები. ავტომობილების გამოყენება ყველა დარგში შეიძლება, მაგალითად ადვილად გადაკეთდება წისქვილების საჭიროებისთვის, წყლებზე სამიმოსვლოთ, ჭაობების ამოსაშრობათ, წყლის ამოსაღებათ, მოსარწყავათ, გასანათებლათ, სახერხი ქარხნების და სხვა ქარხნების ასამოძრავებლათ ელექტრონით სამკურნალოების მოსაწყობლათ და სხ. და სხ.

ერთი სიტყვით, თფილისში და სხვა ადგილებში უმიზნოთ მოსიარულე და შესაკეთებელი ავტომობილები და მთელი ქონება სახალხო საქმეს უნდა მოხმარდეს და არც ერთ თანამდებობის პირს ნება არ უნდა ჰქონდეს უანგარიშოდ, უფასოდ ისარგებლოს ამ ქონებით, სასტიკად უნდა განისაზღვროს ავტომობილებით სარგებლობის უფლება: 1) თუ ვინ და რა დანიშნულებისთვის უნდა სარგებლობდეს ავტომობილებით უფასოდ, 2) ვის უნდა გადაეცეს ავტომობილებით მიმოსვლა-მოძრაობის საქმე და გზები, 3) სასურველია თუ არა მონოპოლია გზების და მოძრაობის ამაზე შემდეგ.

ა. ფარნიევი.

დუშეთის მაზრის ცხოვრებიდან

2 აგვისტო. გვარდიელებმა თავიანთი სიმამაცითა და განწირვით ხომ მიუმატეს რევოლიუციონურ მატიანეს მშვენიერი ფურცელი და ახლა კიდევ ახალი სიტყვები შეაქვთ შიგა. მათ, როგორც მუშებს ძალიან აღელვებთ და აწუხებთ დუშეთის მაზრის გლეხების ასე დაბეჩავება. სცდილობენ მალამოდ დაედონ, უშველონ როგორმე... რამდენჯერ შევხვედრივარ გვარდიელს, რომელიც ეხმარება ყანის მკაში სოფლელებს. ერთი დედაბერი ნეტარების ცრემლებს აფრქვევდა, როცა მის ყანას მოსდებოდენ გვარდიელები.

— ღმერთმა ისე გიშველოთ, შვილებო, როგორც მე მშველით, რა მეშველებოდა მე უბედურს, თქვენ რომ არ მომხმარებოდით. მუშა ხელი აღარსად იშოვება. ან სადა მაქვს დაქირავების თავი—პურის ყიდვასაც ვერ ავდივარო, თუ პირველათ სოფელს გვარდიელების გაგონება შიშსა ჰგვრიდა—ახლა შეეჩვივნენ. ლამის შეიყვარონ. ღირსნიც არიან. როგორც კი დავბრუნდები ხოლმე სოფლებიდან—მაშინვე შემომეხვევიან გვარდიელები და დაწვრილებით მეკითხებიან სოფლის ავ-კარგს; როგორა მხვდებიან გლეხები და როგორ ჰლებულობენ ჩემს სიტყვებს. იგინი სცდილობენ რა წამს თავისუფალს დროს იპოვნიან გამომყვნენ სოფლათ, დამეხმარონ ხალხის ჩაგონებაში.

აი დღესაც განთავისუფლდა თუ არა ციხის ყარაულობისაგან ამხ. დათიკო ბაინდურაშვილი იმის ნაცვლად, რომ დაისვენოს—მომდევს სოფ. ჟინვალში. თუმცა დუშეთიდან ჟინვალამდის 14 ვერსია სულ მთა-მთა სასიარულო. იცის მუხლებში დასწყდება, მაგრამ მაინც მომდევს. მე ერთი-ორად ვმხნევდები და უფრო ხალისით ვეკიდები ჩემი მოვალეობის ასრულებას.

ჟინვალში აველით საღამოს.

მცხოვრებთ შევატყე არ ესიამოვნათ ჩემი სურვილი, რომ გაგვემართნა ყრილობა.

— ჩვენ უკვე გველაპარაკა წივწივაძე და ხართიშვილი, გვეყოფა, მიყრუებულ სოფლებს მიჰხედეთო.

მე მაინც მოვაწვევინე საერთო კრება და გამოირკვა, რომ ჟინვალი ისეთი ყრუა, რომ საჭიროა დიდი, დიდი ზარებით ურეკო, რომ გამოაფხიზლო, გონს მოიყვანო.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ესოდენი ეჭვიანი და მძიმე ხალხი ასე ადვილად აჰყვა აჯანყებულთა ლათაიებს. ნეტამც მაშინაც ყრუ დარჩენილიყვნენ. გვარდიელმა დ. ბაინდურაშვილმა სხვათა შორის უთხრა ხალხს:

— აი თქვენ გაჯერებდენ ვითომც ჩვენ, როცა ყაზბეგიდან დავბრუნდებოდით—სოფლებს ავიკლებდით—ეხლა ხომ ჰხედავთ რომ არა გავნეთრა. იმათ კი ვინც თქვენ გაგაბრიყვათ და ჩვენს წინაამდეგ გამოგიყვანათ — გასხლტნენ, თავს უშველეს, განა მარტო თქვენ გიყვეს ეს ოინი. იმ უღმერთოებმა სამეგრელოდანაც გადმოიყვანეს შეუგნებლები და დაჰლუპეს.

ბნელი ძალები ჯერაც არა სწყნარდებიან, დაძრწიან სოფლად და აზორხოლებენ ხალხსა. იმ დღეს სამხედრო გზაზე დაჰხვედროდენ ერთს გვარდიელს და მოეკლათ. რას ერჩოდენ, რა უნდოდათ მისგან? . ნუ აბოგინებთ ხალხო ამისთანებს. სწორედ ასეთი ავაზაკები არ აბარებენ მთავრობას იარაღს და აფუჭებენ სოფლელსაც და ჩვენცა.

ჟინვალელები კუშტად ისმენდენ ჩვენს ლაპარაკს. ხმას იშვიათად იღებდნენ. მეგონა ფიქრობდნენ: გამოგლევია შენც საქმე, რომ უპატრონოსავით დაჰწანწალებო.

სხვა სოფლებში როცა სწავლა-განათლებაზე მილაპარაკნია—ხალხს თვალები გაჰბრწყინებია, რამდენს დაუვალებია ერთი კარგი მასწავლებელი გაგვიგზავნა მათთვის... აქ კი ამბობდენ აბა ამისთანა სიძვირეში რა გვიშველებაო.

როცა ვურჩიე აღარ გაჰჰენებინათ სოფელში ჩვენი მთავრობის მოწინააღმდეგენი—მკვახეთ მიპასუხეს:

— რა ვიცით, წითელი ძაფი ხომ არ აბიათ ყელზე რომ ვიცნოთო.

ჟინვალელთა გულჩახვეულობამ და პირქუშობამ ნება უნებლიეთ მომაგონა ერთი გლეხისაგან გაგონილი ლექსი:

„რას გაგიხარდა, ჟინვალო,
ფშავ-ხევსურეთის ზიანი?—
ერთ ღამეს დაიბადება
სამოცდა სამი ხმლიანი“.

ხევსურები, მიუხედავათ იმისა, რომ ასე დაშორებული არიან თავიანთ დედაქალაქს,—გაზეთი მათ არ მოსდით და ადამიანი, რომ აცნობოს ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი—მაინც ერთგულნი აღმოჩნდენ თავიანთი უფროსი ძმებისა—მუშებისა. არ უღალატეს, დუშელ გლეხებს არ მიბაძეს. მაშინ, როდესაც ხევსურეთი ლეკებსა და ქისტებთან ბრძოლაში ატარებდა დროს და ახლაც იგერიებს მათ —აქ ძირს ჟინვალი ხარობდა, რომ ფშავ-ხევსურნი განიცდიდენ ველურ მეზობელთა თავდასხმას და მაშასადამე ჟინვალამდის ვერ ჩამოაღწევს მტერი. ხევსურთა ულუფაც ეყოფათ.

ესა სცოდნიათ ფშავ-ხევსურებს და ლექსით შეკითხებიან: რა გახარებთ, ჟინვალელნო, ჩვენი ზიანი, თუ დღეს დაგვეხოცნენ მებრძოლნი—ხვალ უკეთესებს გამოვზრდით მტრის მოსაგერიებლადო.

გამოუზრდიათ კიდეც... ფშავ-ხევსურეთი კლდესავით მაგრათა და მტკიცეთ სდგას—ბარის ხალხმა კი დაჰკარგა დავთრები და საითაც დაუშტვენენ, იქით მირბიან.

3 აგვისტო. ვუკვირდები ხორხლელ მთიულებს და მიძნელდება გაგება, თუ რა გულის ძგერა აქვთ, რას ეტრფიან, ვის სცნობენ მოყვას-მეგობრად...

ყოველ კითხვაზე მიპასუხებენ:

— ჩვენ, შენი ჭირიმე, ძროხა და ბრიყვი ხალხი ვართ. არა გაგვეგება რაო.—აი მთელი მათი აღსარება.

ველაპარაკები გლეხებისთვის ყურადსაღებ მრავალ საკითხზე—ისინი თანხმობის ნიშნად თავებს მიკატუნებენ, მაგრამ მათი თვალები ამჟღავნებენ, რომ არა ესმით რა და არც გულითა ჰსურთ რასმეს გაგება.

ხორხი სულ სხვა ქვეყანაა. სხვა აზრებისა და გრძნობების მქონე.

მათ თავად აზნაურობა არასოდეს ყოლიათ, არც ვისმესგანა აქვთ მისაღები მიწები. მათზე არა მოქმედობს გნიასი: —არიქა, მოდის თავად-აზნაურობა მონობის დასამყარებლადო.

ბნელმა ძალებმა მათს ასაჯანყებლათ სხვა ხერხი იხმარეს, სხვა ნაირად აუბეს თვალები.

— მთავრობამ კავკავის გზა შეჰკრაო —გაავრცელეს მათ და ეს ხმა ელდასავით ეცა მთიულებს. კავკავის გზის შეკვრა-სიკვდილია მთის მცხოვრებთათვის.

იგინი კავკავიდან შემოტანილი პურით იკვებებოდენ და კავკავში გადაჰქონდათ ერბო-კარაქი, მატყლი.

კავკავი იყო შემოსავლის წყარო.

მთაში მიწის დიდი ნაკლულოვანებაა და რა ეშველებათ თუ პურს არსაიდან არ მოაწვდიან.

მეორე მიზეზი მთიულთა უკმაყოფილებისა არის იარაღის აყრა. იარაღი ცოლ-შვილს ურჩევნიათ. უიარაღოთ მათი არსებობა წარმოუდგენელია. მთის ხალხი საქონლის პატრონია და საქონელს ხომ მრავალი მტერი ჰყავს: ნადირიდან დაწყებული ქისტებით გათავებული. ბალშევიკებმა ისე მოჰკრიფეს იარაღი, რომ მხეცის მოსაგერიებლადაც აღარა მოგვეპოვება რაო. ხშირად სახლში ვამწყვდევთ საქონელს ნადირის შიშითო. მე თვითონ ვნახე ხუთიოდე ხარძროხა მგლისაგან დაგლეჯილი.

აჯანყებულებს ხორხლელები ძალით ჩაურეკიათ ფასანაურში გვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველათ, მაგრამ გამოჰპარვიან.

ხორხი სულ პატარა სოფელია და ისიც კომლობრივ სხვადასხვა ქედზეა გაშენებული. სანამ ერთი მეორეს შეატყობინებენ კარგა დრო გადის. სამწუხაროდ სოფელში არც ერთი ოცის თავი არ დაგვხვდა. ერთი შირაქში წასულიყო, მეორე მთაში.

ხალხის მომწვევი არავინ იყო და კრებაზე ძლივს მოვიწვიეთ თორმეტიოდე კაცი. ველაპარაკე დღევანდელს მომენტზე.

მოუწოდე გამოფხიზლებულიყვნენ და არავის აჰყოლოდნენ, მჭიდრო კავშირი დაეჭირათ ჩვენს მთავრობასთან. დავპირდი გაზეთის გაგზავნას

მათ თანხმობის ნაცვლად მომიგეს:

„სამი არ გაიწყრთნება: მგელი, არწივი, მთიული“ო. ჩვენ აბა რა გაგვანათლებს, აყოლით-კი არავის ავყვებით ოღონდ ნურაფერი დაგვიშავდებაო.

ერთმა მთიულმა მთხოვა გაზეთი მე გამეხარდა და სიამოვნებით გადავეცი „ერთობის“ ნომერი. მეგონა წასაკითხად უნდოდა. მან იგი პაპიროსის ქაღალდად გადააქცია და თამბაქოს ხვევა იწყო შიგა.

ხორხში უფრო შეგნებული აღმოჩნდა ლევა ჯაჯაშვილი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ცალი ფეხი ჰქონდა დასიებული, მაინც სცდილობდა მეტს მოეყარა კრებაზე თავი, იგი სჩიოდა მთიულების ჩამორჩენას.

4 აგვისტო. ხორხიდან რომ გამოველი, დაუშვა კოკისპირული წვიმა. ქუხილისაგან არე-მარე გაყრუვდა. ადიდდა ფშავის ხევი. რის ვაი ვაგლახით ჩავედი მთებიდან ბარად. დაღლილ-დაქანცულმა, ნიაღვრით წალეკილ ბილიკებზე სიარულით თითებზე ტყავ-გადაჰქლეჯილმა და წვიმით მთლად გალუმპულმა მივაღწიე სოფელ თვალივს. თვალივში მიმასწავლეს გიორგი შანიძესთან.

გიორგი შანიძე საუკეთესო მუშაკი ყოფილა ჟინვალის რაიონში. რევოლიუციის პირველ დღეებში იგი კომისრად ამოურჩევიათ. შანიძე ღირსეულად წასძღოლია დაკისრებულ საქმეს. გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობის ასრულებისა—მას მოკლე ხანში დაუარსებია ჟინვალისთვის სასწავლებელი, გაუხსნია კოოპერატივი და დაუწყია კიდევ მრავალი სასარგებლო საქმეები. მიუხედავად ამისა ხალხს არ დაუფასებია მისი მოღვაწეობა.

ინადინი პირები ამტყდარან: კოოპერატივი დიდ მოგებას არ იძლევა, სასწავლებელი ბავშვებს გვიცდენს, სკოლის აგებისთვის ტყუილად გაგვაწევინა ხარჯიო. გ. შანიძე იძულებული გამხდარა გადამდგარიყო. მას აქეთ ჟინვალის რაიონის საქმე სულ დაცარულა. აი რამდენიმე სოფელი ჩამოვიარე ჟინვალის რაიონისა და ყველგან ჰნანობს ხალხი, რომ არ დააფასა შანიძე. ცოდვაა საზოგადოებაში იყოს ასეთი პირი და კომისრობას სხვა ეწეოდეს. ახლანდელი კომისარი ლ. უძილაური შანიძეობას ვერ შესძლებს. არც თუ მთელი ჟინვალის საზოგადოების გამომხატველია უძილაური.

კრებას, რომელზედაც მას ირჩევდენ მრავალი სოფელი არ დასწრებია.

ხალხს აუსრულდა ნატვრა: შეუძლიან ამოირჩიოს ის, ვისაც ეწოდება და არ კი ჰსარგებლობს ამ უფლებით. ის ირჩევს მას, ვინც სწორ-უპოვარი დამცველი იქნება ხალხის უფლებებისა. ეს უსაყვედურე თვალიველ გლეხებს. ვამხილე, რომ მათ თავიანთი უჯერო და უხაბრო სიტყვებით გული აუცრუეს მუშაობაზე ისეთს პირს, რომელიც აცდენდა მრავალს შეცდომებს და დააყენებდა კეთილს გზაზე.

დ. თურდოსპირელი.

ს.-დემ. პარტიაში

ქ. სურამი. 4 აგვისტოს შესდგა ს.-დ. მ. პ. სურამის ორგანიზაციის საზოგადო კრება. კრებას 70 მდე წევრი დაესწრო. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გ. ვ. პლეხანოვის ხსოვნას.

ამის შემდეგ ამხ. მამალაძემ კრებას გააცნო გორის მაზრის ორგანიზაციათა 1 აგვისტოს კრების ანგარიში. მან მეტი ყურადღება მიაქცია აგრარულ საკითხს და განუმარტა სამაზრო ყრილობის ამ საკითხის შესახებ აზრი.

ამ საკითხზევე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხანაგმა რაფიელ ჩიხლაძემ.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო ასეთი რეზოლიუცია: 1) ყველა ჩამორთმეული მამულები უნდა მიეცეს სოფლის მუშას საშვილიშვილო საკუთრებათ მცირე საფასურის გადებით, რომელიც დაჰფარავს იმ ხარჯებს, რომელიც მოუვიდა მთავრობას მიწების ჩამორთმევის და მოუვა დამტკიცების დროს; 2) ყველა ისეთი მამულები, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, უნდა დარჩეს სახელმწიფოსავე საკუთრებათ, რომ იმ მამულით ყველამ ერთნაირათ ისარგებლოს და 3) ხარჯების დასაფარავი თანხისათვის დესეტინაზე ან დღიურზე ნორმა შეიმუშაოს თვით მთავრობამ.

პარტიული მუშაობის შესახებაც მოხსენება გააკეთა ამხ. ჩიხლაძემ, ამისთვის საჭიროთ მიაჩნია ორგანიზაციების აღდგენა და მუშაობის გაჩაღება.

წევრების გასათვითცნობიერებლათ საჭიროა საუბრები, პარტიული ლიტერატურის გავრცელება, გაზეთების გამოწერადა და სხვა. მუდმივი მდივნის ყოლა, რომელიც ყოველდღე სისტემატიურათ რამოდენიმე საათი მაინც იქნება პარტიულ ბიუროში.

ორგანიზაციის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად [illegible] გადასახადის გადიდება, წარმოდგენების და ლექციების გამართვა.

კრებამ ეს წინადადებები ყველა მიიღო. პარტიულ კითხვებზე და სხვაზე საუბრები უნდა მოხდეს ყოველ-კვირა დღე.

კომიტეტს მიენდო ახლო მომავალში მოიწვიოს კიდევ საზოგადო კრება, სადაც საბოლოვოთ უნდა გადაწყდეს, თუ როგორ მოეწყოს პარტიული მუშაობა. ამ კრებაზე იქნებიან არჩეული ათის და ასის თავები და აგრეთვე პასუხისმგებელი პარტიული ხელმძღვანელი ადგილობრივი ორგანიზაციის. Calis.

სუფსა (გურია). 28 ივლისს შესდგა სუფსის საზოგადოების სოც.-დემოკრატ. კოლექტივის კრება. კრება ისმენს მოხსენებას სამაზრო ერობის არჩევნების და მიწის რეფორმის შესახებ. მსჯელობის შემდეგ კრებას გამოაქვს დადგენილება: მთელი ჩვენი ძალებით ხელი უნდა შეუწყოთ ერობის არჩევნებს, რომ ამ მომავალ დემოკრატიულ ორგანიზაციაში, რომლის შემოქმედებით უნარზე იქნება დამოკიდებული მაზრის ეკონომიურ-კულტურული წინ-მსვლელობა, მოხვდნენ ხალხის ნამდვილი მესვეურნი და დაუღალავი მუშაკები. საზოგადოებაში ამომრჩეველთა სიის შედგენას უკვე შეუდგნენ, რაიც ახლო მომავალში უნდა დასრულდეს. მიწის რეფორმების შესახებ მოხსენების შემდეგ, ყველა „იაჩეიკების“ წარმომადგენლები აქვეყნებენ ამის შესახებ შეხედულებას თავიანთი წრიდგან; როგორც გამოირკვა უმრავლესობა მომხრე არის მიწა ფასით არ მიეცეს საკუთრებათ მიწის მუშებს, არამედ ისარგებლონ მუნიციპალური სახით. კოლექტივი განმარტების შემდეგ უმჯობესად სცნობს მიწების მუშებზე საკუთრებათ გადაცემას მცირედი სასყიდლით. გადასწყდა ახლო მომავალში მოხდეს კოლექტივის რეორგანიზაცია

მართაშვილი.

მუშათა შორის

საქართველოს მთავრობის სტამბა. მთავრობის სტამბაში ყოველ შაბათს იძლევიან ავანსს. ამ ავანსის საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული. მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთებმა წერა არ იციან, მიაქვს ფული, ხელს ან სხვას აწერინებს ან ხელმოუწერელი რჩება. შემდეგ ფულის წამღებს ავიწყდება (ან განგებ ივიწყებს), რომ ავანსათ წაიღო ფული. ამაში თითო საათს უნდება გამგე და ფულის წამღები იმის ძიებას და მტკიცებას, რომ მან წაიღო თუ არა. ასეთები რომ არ მოხდეს და არც ერთი მხარე არ დაიჩაგროს, კარგს იზამს გამგე სტამბისა შემოიღებდეს საანგარიშო წიგნაკებს, სადაც მოყვანილი იქნება ყველა სამუშაო პირობები დღისა და ღამის „სმენისათვის“, და მასთან ის კანონები, რომლითაც უნდა ისარგებლოს მთავრობის სტამბის მუშებმა, აგრეთვე მოხსენებული იქნება, ვინ რაზე მუშაობს, მათი ხელფასის რაოდენობა, და სხვა ასეთები. წიგნაკები თვითეულ მომუშავეს თან უნდა ჰქონდეს, ჯამაგირისა თუ ავანსის დროს, წარუდგენს გამგეს და იქ აღინიშნება, რომ ჯამაგირის თუ ავანსის სახით მუშამ წაიღო ამდენი ამ რიცხვში. ამითი წარმოებაში იქნება ერთნაირი წესრიგი დაცული, რაც ძლიერ საჭიროა.

მუშა ოფონიეშვილი.

თფილისი. არა გვგონია რამე დარგის მომუშავენი განიცდიდენ ისეთ გაჭივრებას, როგორც ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი. ჰფიქრობთ და ვერ გამოგირკვევიათ, თუ როგორ ახერხებენ ასეთ სიძვირეში ერთად-ერთ შემოსავლით—ჯამაგირით—ფიზიკურ არსებობას. იმ დროს, როდესაც ფუთი სიმინდის ფქვილი 100—150 მან. ფასობს, მოხელეს უხდება მთელი ოჯახის შენახვა თავისი გასამრჯელოთი. უბედურებაც იმაშია, რომ ეს გასამრჯელო დღემდის 200—350 მან. ვერ გასცილებია. განსაკუთრებით თქვენ უნდა ნათლად წარმოიდგინოთ ის აუწერელი გაჭირვება, რომელიც დაბალ მოსამსახურეებს აწევს კისრად, რადგან მათი ჯამაგირი დღემდის 225 მან. ძლივს აღემატება. საქართველოს ფოსტა-ტელ. მოსამსახურეთა პირველმა ყრილობამ დაადგინა ჯამაგირის 150 მან. გადიდება, მაგრამ ეს დადგენილება ცენტრალურმა გამგეობამ დღემდის ვერ მოიყვანა სისრულეში. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მოსამსახურეებს მეტის მოთმენა არ შეუძლია. თქვენ ნახავთ ბაზარში გამოსულ მოხელეს, რომელიც შინაურ „ქონებას“ სპეკულიანტებს, აცრემლებული უზიდავს. ამ სტრიქონების დამწერმა თავისი თვალებით ნახა შვიდი შვილების პატრონი მოსამსახურე შიმშილისაგან გულ-წასული იატაკზე რომ გაიშხლართა. ერთი სიტყვით, ისეთი მდგომარეობაში არის ჩაცვენილი ეს „ოცის ხალხი“, რომ უეჭველათ შიმშილის მსხვერპლნი გახდებიან. ჩემის აზრით,

ყრილობის დადგენილება 150 მან. საქმეს ვერ უშველის, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოთხოვნილება უფრო გადიდდეს. აგრეთვე დავალიანებულ მოსამსახურეთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ერთდროული დახმარება. პროფესიონალურ ორგანომ საჩქარო ზომები უნდა მიიღოს, რომ მოსალოდნელი ექსცესები თავიდან დროზე ავიცილოთ და ამხანაგების უმწეო მდგომარეობა დროზედვე გაუმჯობესდეს. ჩვენ გვრწამს, რომ ჩვენი მთავრობაც უყურადღებოთ არ დასტოვებს დამშეულ-გაძვალ ტყავებულ მოსამსახურეთა სამართლიან მოთხოვნილებას.

მარკ.

მცირე შენიშვნა

როგორც სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ ჯანმრთელობის კომისარს ეროვნულ საბჭოსთან დაუდასტურებია საექიმო სასანიტარო რეორგანიზაციაში ახალი თანამდებობის შექმნა. ეს არის ეგრედ წოდებული მთავარი გამგე, რომელმაც თურმე უნდა ითამაშოს გამაერთიანებელის და შემაკავშირებელის როლი ამ ნაწილში. უფლებები აქვს მინისტრისა, თუმცა მინისტრი კი არ არის და, როგორც ერთმა წევრმა განაცხადა, ყველა კითხვებში, საპოლიტიკოშიაც კი, იღებს გადამჭრელს ხმას. ერთი სიტყვით, მინისტრიც არის და არც არის მინისტრი. რაღაც საშუალო სურროგატი.

ჩვენის აზრით ამგვარი მთავარ გამგის თანამდებობის შექმნა არც დროს შესაფერია და ფინანსების ნაკლებობის თვალსაზრისით არც დასაშვები.

ყოველ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების შექმნაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ისტორიით და დასავლეთ ევროპის მაგალითებით, შევუფარდოთ ჩვენს ეკონომიურ, პოლიტიკურ და თუ გინდათ, ტერიტორიულ პირობებს და იმის დაგვარად ჩამოვაყალიბოთ ესა თუ ის ტიპი ორგანიზაციისა ამა თუ იმ დარგში.

არც ერთს სახელმწიფოში არ არის ამგვარი ტიპის მთავარი გამგე საექიმოსანიტარულ ორგანიზაციაში და არც ისტორია გვიუბნება ამის საჭიროებას. არის ჯანმრთელობის სამინისტრო, რომლის სათავეშიაც დგას მინისტრი, ნამდვილი და არა სურროგატი, ჯერ ერთი, და, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენს ეკონომიურ და ტერიტორიალურ პირობებს, ზემო მოხსენებული თანამდებობის შექმნა გამოიწვევს ზედ-მეტ ხარჯებს, რაც საზარალოა ძლიერ პატარა ჩვენი რესპუბლიკისთვის, ეს მეორე.

ამას თუ დავუმატებთ იმ მოსაზრებას, რომ ადრე თუ გვიან ჩვენში უნდა განხორციელდეს ერობის ორგანიზაციის შექმნა ამა თუ იმ სახით და მაშასადამე, თითქმის მთელი საექიმო სასანიტარო საქმე უნდა გადავიდეს მის ხელში, ეხლა ლაპარაკი და ცდა ამ ახალი თანამდებობის შექმნაზედ არის დროს შეუფერებელი უტოპია.

ჩვენის აზრით, ჯერ-ჯერობით საექიმო-სანიტარული ორგანიზაცია ერობას შემოღებამდის უნდა დარჩეს ძველი, მხოლოდ პერსონალურად განახლებული საშინაო სამინისტროსთან, როგორც ორგანო ადმინისტრატიული და ამავე დროს შეიქნას საექიმო სანიტარული საბჭო—როგორც ორგანო კანონმდებლობითი და დამხმარე მთავრობისა ამ სპეციალურ დარგში. თუ როგორც უნდა მოეწყოს ეს საბჭო, რა შემადგენლობა უნდა იყოს და რა ფუნქციები უნდა იკისროს, ამის გამომუშავება ადვილია, თუ ექიმთა პერსონალი გამოიჩენს სოლიდარობას და სურვილს გულწრფელი შემოქმედებისას.

ვ. ლაშხაური.

ჯარის-კაცთა წერილები

ის მომწამვლელი ატმოსფერა, რომელიც სუფევდა პირველ ხანებში რეგულიარულ ჯარში თანდათან იფანტება. პროვოკატორებს, რომელთაც წინეთ ჯარში დიდი გასავალი ქონდა, დღეს ადგილი არა აქვს, და თამამათ შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი რეგულიარული ჯარი საღ ნიადაგზე დგას და მზათაა მთავრობის პირველ დაძახებაზე დაიცავს სამშობლოს და რევოლიუციის ინტერესები.

ჯარის გამოფხიზლება იწყება ბათუმის ბრძოლის შემდეგ. იქ ჯარისკაცებმა პირველად იგრძნეს, რომ უდისციპლინო და შეუკავშირებელი ჯარი წააგებს ბრძოლას. ჯარის შესაკავშირებლად და დისციპლინის ახალ წესზე დასამყარებლად საჭირო იყო ახალი კაცები—ხელმძღვანელები უნდა ყოფილიყო მთავრობის ერთგულნი, პოლიტიკურად მომზადებულნი და დემოკრატიისადმი სიყვარულით გამსჭვალულნი. ამას ჩვენ ბათუმში ვერ ვხედავდით. ძველს დროს სახელ განთქმულნი ახალს დროში გამოუსადეგარნი არიან. ახალი დრო ქმნის ახალს გმირებს. ამ შემთხვევაში ნატანებში უკეთესი მდგომარეობა იყო. აფიცრები და საერთოდ ჯარების ხელმძღვანელები ჯარისკაცებს უახლოვდებიან, იცნობენ მათ ჭირ ვარამს და მათ სულისკვეთებას. არ უყურებენ ჯარისკაცს წინანდებურად. ზოგი ჯარისკაცის საქმეს თითონ აკეთებდა, არ უკადრისობდა და ამით მაგალითს უჩვენებდა მათ. ამგვარად, ჯარსა და მათ ხელმძღვანელთა შორის მჭიდრო კავშირი შეიკრა და მართლაც ჯარი ნატანებში და ოზურგეთში მზათ იყო შეტაკებოდა მტერს. და ასე ჯარის სულიერი განწყობილება გაუმჯობესდა შეგნებული ხელმძღვანელების და ჯარისკაცების მეოხებით და ის დღეს თავგანწირულად იბრძვის შინაურ და გარეშე მტერთან. ამას ჩვენ ვხედავთ უკანასკნელ ბრძოლებში (სოხუმში, ლეჩხუმში და დუშეთში).

ყოველი მოქალაქე ჩვენი რესპუბლიკისა სიხარულით უნდა შეხვდეს ამ მოვლენას. ყველამ მას მზრუნველობა არ უნდა მოაკლოს, რადგან მხოლოდ მისი გაძლიერებაში და გამაგრებაშია ჩვენი ხსნა.

ყოველმა მოქალაქემ უნდა მი ღოს მონაწილეობა სახელმწიფოს აღშენებლობის საქმეში, რომელთა შორის ძლიერი ჯარის შექნას პირველი ადგილი უჭირავს, მხოლოდ მას შეუძლია გააძლიეროს და განამტკიცოს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა. საუბედუროთ, ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქენი ვერ იჩენენ ამ სათანადო ყურადღებას ამ საკითხში და ჯარში ჩაწერას გაურბიან. უყურებენ იმ დროს, როცა მათ, როგორც ძველს დროს ძალით არ გაიყვანებენ. ამას რომ სჩადის შეუგნებელი ნაწილი ადვილი ასახსნელია, მაგრამ ამასვე რომ იმეორებს შეგნებული ნაწილი ჩვენი ქვეყნისა, პირდაპირ სამარცხვინოა. აგერ სამი თვეა რაც მობილიზ ცია გამოცხადდა, მაგრამ ჯერ სულ ცოტა გამოვიდა. ამით იჩაგრება ის, ვისაც სახლში გაშვება შეჰფერებულია მათი მოუვლელობის გამო. დეკრეტის ძალით ჯარისკაცები 23 წლიანებზე ზევით ჯერ კიდევ ორი თვის უკან უნდა დათხოვნილიყო. ზოგმა მათგანმა მოასწრო გაპარვა, ზოგი ორი სამი დღით წავ და სახლში და მერე არ დაბრუნებულა, მათ ხელს არვინ ჰკიდებს. მხოლოდ ვისაც სინდისმა არ მისცა ნება გაპარვისა, დარჩა და დღესაც ჯარში იმყოფება. მაგალითად მეორე ბატარეიაში ქართული სამორტირო დივიზიონისა ნატანებში ირიცხებოდა ორასზე მეტი კაცი, თფილისში ჩასვლის დროს დარჩა 150 დე. მათში ასზე მეტი სახლში გასაშვებია დეკრეტის ძალით. უმეტესობა ცოლშვილიანია, მოხუცებული მშობლები ჰყავს ღვთის ანაბარად მიტოვებული. არავითარ დახმარებას მათ არავინ არ უწევს. გადაწყვეტილი იყო 20 მ. სულზე თვეში, იმასაც არავინ იძლევა. მდგომარეობა აუტანელია. საჭიროა მიღებულ იქნას სასტიკი ზომები მობილიზაციის ცხოვრებაში გასატარებლად და ამით დაჩქარებულ იქნას დემობილიზაცია ჯარებისა და მასთან უზრუნველყოფილ იქნას იმ ჯარისკაცთა ოჯახური მდგომარეობა, რომელნიც გასაშვები არიან დეკრეტის ძალით და მოქალაქეების გამოუსვლელობით დარჩენილნი არიან ჯარში.

ჯარისკაცი ლადიკო ჭანტურაია.

პროვინცია

აგარაკი წემი. აქ წელს ძლიერ ცოტა არიან მოაგარაკენი და, თუ ვისმეს ნახავთ, აუცილებლათ ავათმყოფს. რა თქმა უნდა, ოთახები ძლიერ ბევრი არის ცალიერი, მაგრამ სახლის პატრონები ფასს მაინც არ უკლებენ. ძლიერ გასაჭირი არის სანოვაგის შოვნა; დიდი გაჭირვებით ვშოულობთ პურს, რომელიც ღირს 4 მან. გირვანქა. ამ ერთი კვირის განმავლობაში ხოლერამ იჩინა თავი და სამი სული იმსხვერპლა. ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორც იქნა, ელირსენ კოოპერატივს, მაგრამ მას მტერი მაინც ბევრი ჰყავს. საჭიროა მცოდნე პირები.

სიმონა ახალშენელი.

ს. შემოქმედი. 21 ივლისს, შემოქმედის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლათ ადგილობრივ უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორმა ამხ. სოსო მელიქიშვილმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ერობა და ჩვენი ტაქტიკა“. ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო, თემა შეესაბამებოდა მომენტს, შ ნაარსიანი გამოდგა და ხალხიც კმაყოფილი დარჩა. მთელი შემოსავალი 221 მანეთი გადაეცა ზემოაღნიშნულ სამკითხველოს. საჭიროა ასეთი იაფ-ფასიანი ლექციები ხშირათ იმართებოდეს.

28 ივლისს სამკითხველოს გამგეობამ ამხ. სოსო მელიქიშვილის ხელმძღვანელობით მოაწყო წარმოდგენა, რამაც წმინდა შემოსავალი დასტოვა 574 მან. 60 კაპ. ამ ფულის ნახევარი გადაეცა ადგილობრივ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების საადმაშენებლო კომიტეტის ფონდს, მეორე ნახევარი იმავე სამკითხველოს. გამგეობა მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენის მოწყობაში.

გამგეობა.

სოფ. კონჭკათი (გურია). 28 ივლისს შესდგა ადგილობრივი საზოგადო მომხმარებელ დუქნის „სინათლის“ წევრთა კრება პირველი ნახევარი წლის ანგარიშის შესახებ, რომლის შესახებაც მოხსენება გააკეთა მღვ. ქრისტეფორე კეჭაღმაძემ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას დუქნის ანგარიში. გამოირკვა: ნახევარი წლის განმავლობაში დუქანს მოუგია ყოველივე ხარჯს გარეშე 2599 მან. 92 კაპ., რომელშიაც შედის 640 მან., ფასი ახლად შეძენილი ინვენტარის. სულ კი წმინდა მოგები დუქნს დარჩა 1959 მან. 92 კაპ. კრებამ მიიღო ყოველივე ანგარიში და დაამტკიცა, მასთან მადლობა გამოუცხადა გამგეობის წევრებს, საქმის მწარმოებელს და სარევიზიო კომისიის წევრებს მათი შრომისთვის და დუქნის კარგ ნიადაგზე დაყენებისთვის. კრებამ თავის წმინდა მოგებისაგან გადასცა გამგეობის წევრებს 300 მანეთი, ვინაიდან მათ დიდი შრომა მიუძღვით, ისინი კი მსახურობდენ უფასოთ. მასთან კრებამ გადადო 500 მანეთი სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებისათვის: 200 მანეთი ადგილობრივ ერთ კლასიან სკოლისთვის, 200 მანეთი სამკითხველოსთვის და 100 მანეთი ქართული უნივერსიტეტისათვის, დანარჩენი წმინდა მოგებისაგან 1159 მან. 92 კაპ. მიემატა კოოპერატივის ძირითად თანხას. კრება იმედოვნებს, რომ მომავალშიაც მათ კოოპერატივს და სხვა დაწესებულებასაც ეყოლება სათავეში ასეთი მშრომელები.

დამსწრე.

სად. რიონი. რადგანაც სახალხო მატარებლები ხშირათ იგვიანებენ ორი, სამი საათით, აქ მგზავრები ამით სარგებლობენ და მიდიან უბილეთოდ საქონლის მატარებლით. ხშირად კონდუქტორები ვაგონის სახურავზე ადიან, რადგანაც იმათი დასადგომი ადგილები გაჭედილია მგზავრებით. აუარებელი ხალხი ჩამოჰყავს საქონლის მატარებლებს უბილეთოდ ყვირილიდან, ქუთაისიდან და სამტრედიიდანაც. საჭიროა ამ უწესოების წინააღმდეგ ზომების მიღება.

X.

სოფ. ზემო ავჭალა (თფილისის მაზრა). ქართული სოფელი დღეს რომ გონებრივად დაქვეითებულია და უმეცრების მორევშიც ცურავს, ყველასათვის ცხადია და ამაზე წერა თითქმის ზედმეტია. ამ საზოგადო სენიდგან გამონაკლის არც ს. ზემო ავჭალა შეადგენს, თუმცა ის თფილისზე ძლიერ ახლოა, მაგრამ სწავლა-განათლებით და შეგნებით ისე უკან ჩამორჩენილია, როგორც სხვა სოფელი ჩვენი ქვეყნის განაპირა და მიუვალ კუთხისა. ამ გვარ არა სასურველ მდგომარეობას სოფლისას ადგილობრივ ინტელიგენტთა სულ პატარა წრე ვერ შეხვდა გულ გრილათ და მიზნათ დაისახა, როგორმე ეწამლა მისთვის. წრე შეუდგა საღსრის გამონახვას, რომ მით რაიმე კულტურული დაწესებულება დაეარსებინა. მართლაც ამ ორიოდე წლის განმავლობაში მან წარმოდგენების და ლიტერატურულ საღამოების გამართვა იწყო, რაიცა კარგ შემოსავალს იძლეოდა. ბოლო დროს წრეს ახალი წევრები შეემატა, გაიზარდა, წარმოდგენების მართვას მოუხშირა და შემოსავალმაც საგრძნობლად იმატა. იგრძნო მან თავისი თავი ნივთიერად ცოტათი მოღონიერებული, წრემ ჯერ სოფელს მიმართა, აუწყა მას ყველაფერში უკან ჩამორჩენილობა სოფლისა, დაუსახელა ამ სენის თავიდან ასაცილებელი საშუალება, გააცნო წარმოდგენების შემოსავლის ანგარიში და ბოლოს სთხოვა აერჩია გამგეობა, რომელსაც უნდა ეკისრნა ამ კეთილი საქმის გაძღოლა და შეგროვილ ფულებისათვის მიეცა შესაფერისი დანიშნულება. ხალხმა ყოველივე გულდასმით მოისმინა და მადლობის გადახდის შემდეგ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისიაც. გამგეობა უკვე შეუდგა თავის საქმის მოგვარებას და ჯერ-ჯერობით დაარსა სახალხო უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო, გადასწყვიტა დაარსოს სასკოლო, სათეატრო და სახალხო კითხვების სექციები. ყოველივე ამის დროზე და პირნათლად სისრულეში მოსაყვან საშუალებად გამგეობამ სცნო წარმოდგენების, საღამოების, „ფინჯან ჩაის“ გამართვა, საწევრო გადასახადი, კერძო შემოწირულება. გამგეობა სრული დაიმედებულია, რომ საზოგადოება ამ სიმპატიურ საქმეს თანაგრძნობით შეხვდება და გაუწევს მას ყოველგვარ დახმარებას ზნეობრივად და ნივთიერად, ფულით და წიგნებით. ამ თავით კი ძლიერ საჭიროა ჟურნალ-გაზეთები.

მისამართი: სად. ავჭალა. უ. ვერა სტეფანეს ასულს ბახტამოვს.

სოფ. ხცისი (ქართლი). 28 მკათათვეს ხაშურის სარაიონო კომისარის შ. კ. ჩანტლაძის განკარგულებით მოხდა მთელი ხცისის საზოგადოების კრება. კრებას დაესწრო დაახლოვებით სამასამდი კაცი. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ადგილობრივი მცხოვრები ზაქარა ჯიქურაშვილი. კრების მდივნათ სოფ. მასწავლებელი ვ. თუთბერიძე, კრებას დაესწრო პროპაგანდისტი კოსტა ბისაშვილი და მიწის ჩამომრთმევი კომისრის წევრი ილ. ბალანჩივაძე. კრებამ წამოაყენა შემდეგი დღის წესრიგი: პოლიტიკური მომენტი, მიწის საკითხი, ტყის საკითხი, საზოგადოების მართვა გამგეობა, შეკითხვები. პოლიტიკურ მომენტზე მოხსენებას აკეთებენ ამხ. ბალანჩივაძე და ჩანტლაძე, მათ სავსებით დაახასიათეს შექმნილი მდგომარეობა და მოუწოდეს სოფლის მუშებს შეერთება შეკავშირებისაკენ. ამ მოხსენებას ოსურათ აკეთებს ამხ. კ. ძებისაშვილი.

მიწის საკითხზე, მოხსენებას აკეთებს ამხ. ბალანჩივაძე და ოსურათ ამხ. ძებისაშვილი. ბალანჩივაძემ კანონის ფარგლებში აუხსნა კრებას თუ როგორ და რა სახით მიეცემათ მათ მიწა. კრებამ მოიწონა მიწის კანონი. ტყის შესახებ კრებამ სურვილი გამოსთქვა ყველამ მიიღოს მონაწილეობა ტყის დაცვა შენახვაში.

საზოგადოების მართვა-გამგეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩანტლაძე. ის არსებითად ეხება მართვა გამგეობის საქმეს და უხსნის კრებას, თუ როგორი მართვა-გამგეობა იქნება, როდესაც დემოკრატიული წესწყობილება სავსებით დამკვიდრდება. კრებაზე იყო სხვადასხვა შეკითხვები. ცოტა კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი განაჩენი: ჩვენ ხცისის საზოგადოების მცხოვრებლებმა მოვისმინეთ რა მოხსენება შექნილ მდგომარეობისა, ფიცსა ვდებთ, რომ იარაღით ხელში დავიცავთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ყოველივე ნაბიჯს სახალხო მთავრობის მიერ გადადგმულს გავატარებთ ცხოვრებაში.

კრების თავმჯდომარე ზაქრო ჭიქურაშვილი, მდივანი ივ. თუთბერიძე.

ს. გორა (გურია). 27 ივლისს მოხდა გორას მომხმარებელი საზოგადოების „შეღავათი“-ს წევრების კრება. კრებას დაესწრო 80 მდე წევრი. დღის წესრიგი იყო: დუქნის საკითხი. გააცნო რა მომხსენებელმა კრებას შინაარსი გამოირკვა, რომ ვინც დაუყენებიათ დუქანში, ნოქარი თუ გამგეობა, ცოტა თუ ბევრი ყველას „უჭამია“, ამისათვის კრებამ ერთხმად გადასწყვიტა დუქნის დაკეტვა. მაგრამ დუქანს აქვს კერძო პირების ვალები და მასთან სხვა ანგარიშებიც. ამიტომ კრებამ ერთხმად აირჩია მათე საყვარელის ძე დევიძე, რომელმაც უნდა ივაჭროს დუქანში 10—15 დღე და რაც შემოვა იმ ფულებით გაისტუმროს რამდენათაც შესაძლებელი იქნება კერძო ვალები. ამ ვადის შემდეგ კი დუქანს უნდა უპატრონოს თვით კოოპერატივის წევრებმა.

ელიხაბედიშვილი.

მეჯვრისხევის რაიონი (გორის მაზ.). 4 აგვისტოს ს. მეჯვრისხევში შესდგა რაიონული ყრილობა, რომელსაც დაესწრო 150 ზე მეტი წარმომადგენელი სხვადასხვა სოფლებიდან. ყრილობის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო დასმული: არსებული მომენტი, ერობის შემოღება ჩვენში, მიწის საკითხი, სახალხო გვარდია.

მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ვ. ცაბაძემ, სოფლის კომისიის წარმომადგენელმა. მან მოკლეთ გააცნო კრებას ყველა ის მომენტები რუსეთის დიდი რევოლიუციისა, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა მიიყვანეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებამდე და ყველა ის ბრალდებები ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, რომლებიც პროვოკატორებს ასე ფართოდ გაუვრცელებიათ ხალხში მომხსენებელმა მუხლობრივ გააბათილა. გამოტანილ იქნა თითქმის ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მიზეზები საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებისა, გავითვალისწინეთ რა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სერიოზული მდგომარეობა და ის შინაური არევ დარევა, რომელიც ძირს უთხრის რევოლიუციით მონაპოვარ მიწას და თავისუფლებას,—აშკარათ ვგმობთ იმ ხალხის მოღალატეებს, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში იწვევენ ჩვენ დამღუპველ გამოსვლებს. სრულ ნდობას ვუცხადებთ ჩვენ მთავრობას, რომელმაც ყოველი ღონე იღონა და ჩვენი ქვეყანა ოსმალების შემოსევისაგან და აკლებისაგან გადაარჩინა.

ერობის შესახებაც მოხსენება გააკეთა ვ. ცაბაძემ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ჩვენში ერობის შემოღების შესახებ და დავრწმუნდით რა იმაში, რომ დღეს ჩვენში ერობის შემოღება დაჩქარებით უნდა მოხდეს, ვინაიდან დღეს სოფლის არეულ დარეულ ცხოვრების მოწესრიგება და ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება შეუძლიან მხოლოდ ერობას. უპატრონოთ დატოვებულ ცხოვრებას პატრონი გაუჩნდება და ჩვენ ჩვენის მხრივ ამ დიდი რეფორმის გატარებაში ყოველგვარ დახმარებას გავუწევთ მთავრობას.

მიწის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. რუხაძემ. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება მიწის საკითხზე და გავეცანით რა მამულების ჩამორთმევის კანონს, მოვითხოვთ, რაც შეიძლება დააჩქაროს მთავრობამ ამ ჩამორთმეულ მიწების განაწილება გლეხებზე საკუთრებათ. ჩვენ თანაუგრძნობთ ამ მიწების სამართლიან ფასებში შესყიდვის იდეას. სახალხო გვარდიის შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. კაცაშვილმა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება და დავრწმუნდით რა იმაში, რომ სახალხო გვარდია ყველაზე უფრო ერთგული და საიმედო დარაჯია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა, მიწისა და თავისუფლების შენარჩუნებისა—ვეცდებით ყოველგვარი დახმარება აღმოვუჩინოთ ჩვენს რაიონში სახალხო გვარდიის შედგენას.

დამსწრე.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ № 158, მოქალაქე გუ—ლიქობალავას მოჰყავს რა ცნობები ს. ყაზბეგში ბოლშევიკების ლაშქრის შესახებ, სხვათა შორის აღნუსხავს იმ ნივთებს, რომლებიც ბრბოს მიერ იქმნა გატაცებული (ვითომდა რამდენიმე სოფლიდან) მხოლოდ ს. ყაზბეგიდან, სადაც ზოგიერთი ნივთებია აღნუსხული, რომლებიც ჩვენ დაზარალებულებს თვალითაც არ დაგვინახია, მაგალითად მღვდლის ჯვარი, ორი წმიდა გიორგის ჯვარი და ზოგიერთი აღნუსხული სხვა ნივთებიც. ვინაიდგან ამ ნივთების დარბევაში მე როგორც ერთი დაზარალებულთაგანი იქ გახლდით და ხსენებული ნივთები ჩემდა სამწუხაროდ იქ ვერ ვნახე და დღევანდლამდის ჩემთვის იგინი დაკარგულია, ამიტომ ვთხოვ წერილის ავტორს იქნებ ახსოვდეს და დაგვისახელოს გაზეთის საშუალებითვე კომისიაში სახელდობრ რომელ პიროვნებას გადასცა ხსენებული ნივთები და ან რა გვარის ხალხი შედიოდა ამ კომისიაში.

პატივისცემით მღვდელი
ბართლომე ლუდუშაური.
ს. სტეფანწმინდა (ყაზბეგი).

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თფილისიდან გავა:

			საათ.	წ.
ფოთისკენ	№ 23	დილის	7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9|10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4|3c	დღის	1	—

თფილისში მოვა:

ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11|12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 4c|3	დილის	11	—

თფილისის დროით.

ამა თვის 11 ს, ღამის 12 საათზე, ა
ბაკო ძნელაძის დუქნის წინ ბირჟ
[illegible]
სხვა ნივთებს გარდა იყო ლუკა ლო
რიას სახელზე ძლიერ საჭირო სხვა
დასხვა საბუთები, რომლებიც ვთხოვ
მპოვნელს გადასცეს ან ჩოხ ტაურის რა
იონის კომისარს ან ფოსტით გამოგზავ
ნოს უმარკოთ შემდეგი მისამართით:
ჩოხატაურ ჯვარცხმა ლუკა გიორგის ძ
ლორიას, რისთვისაც მისამართის ჩვენებ
თანახმად მიიღებს შესაფერ ჯილდოს.
(3—3) ლუკა გიორგის ძე ლორია

ქალ. ქუთაისში
(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)
ქირურგიული და ქალთა სნეულებ
საავათმყოფო სამშობიარო განყ
ფილებით.
დასაწოლ ავ თმყოფს იღებენ ყოველ
დროს. (24—

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნე
ლებით ავათმყოფთ დილის 9—11
საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღ
ქუჩა, 41. ტელ.№ 9 53. (24—

კ ე რ ძ ო
მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით. ავმყოფების მ
ღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან
მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ
ბა) დამისი შედეგებით დასნეულებულ
სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილ
ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნ
ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღა
მოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცი
და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11
ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

ექიმი ი. გ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფ
საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის
უბნის ქ. № 3. (24—10)

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერ
სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქი
რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ
დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ
ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარ
გებას. სიფილისის წამლობა ახალი მე
თოდებით. დილის 10—12 ს. და საღა
მოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩ
სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათ
მყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8
—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვ
ქუჩა № 14.

ექიმი ბ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამო
5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მი
სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფ
ცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირ
დაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

გაზეთ „ერთობის“ ხელისმომწერთ.

მესამე რაიონული კოლექტივი ამით აცხადებს, რომ ვისაც ფული არ შემოუტანია ამ თვის, 14 ამ თვემდე უნდა შემოიტანონ. რომლებსაც გასული თვისაც არ გადაუხდიათ, იმათაც ამ ვადის განმავლობაში უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთში გამოვაცხადებთ მათს სახელსა და გვარს.

კოლექტივის მდივანი ი. მეგრელიძე.

პირველი რაიონის კოლექტივი

აცხადებს გაზ. „ერთობის“ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომ ამ თვის 15 დან ხელის მომწერლებს სახლებში აღარ დაურიგდებათ გაზეთები, ხელის-მომწერლებმა თითონ უნდა წაიღონ ბიუროს ბინიდან. ვისთვისაც ეს მოუხერხებელია და გაზეთის ხვედრი ფული წინდაწინ აქვს შემოტანილი—მათ უნდა მიიღონ უკან ფული. კოლექტივი განაგრძობს ბიუროს ბინაზე გაზ. „ერთობის“ ცალობრივ გაყიდვას. ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქ. ნაძალადევის თეატრის შენობის გვერდზე. (2—2)

სალიკვიდაციო კომისია
თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა

სთხოვს იმ პირთ, დაწესებულებათ, საზოგადო და კერძო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია კომიტეტისადმი, ან ფულის ანგარიშები, შეატყობინოს ამის შესახებ წერილობით ერთი თვის განმავლობაში ამა წლის 10 აგვისტოდან დაწყებული კომისიის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 9) დღის 9—2 საათამდე. 10 სექტემბრიდან არავითარი განცხადებანი და პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

სალიკვიდაციო კომისია. (4—2)

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.